


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში,
ბრძოლით ბეჭდუდი სიფყვას,
ცყილებით და ჭაბრით ბუბთის
გაცანა ყულა უკადრისდბაჟ
უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

ოთხშაბათი, **14** ოქტომბერი, 2015 წელი.
№193 (7838)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

გილოცავთ სვეტიცხოვლობას!



14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია და ქართველი ხალხი დღესასწაულებს საუფლოისა და კვართისა, აგრეთვე ღვთაებრივ ბრწყინვალე მართმდინარე სვეტიცხოვლის ბრწყინვალე დღეს, იგივე მცხეთობა-სვეტიცხოვლობას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენს სამშობლოში არსებულ სიწმინდეთა შორის ყველაზე დიდი მართლმადიდებლური სიწმინდე სვეტიცხოველია. სვეტიცხოვლის ტაძარი აგებულია IV საუკუნეში. თავდაპირველად ეს ხის ტაძარი ყოფილა. მშენებლობისას თურმე ერთი, ბოლო სვეტი ვერაფრით ჩაასვენს მიწაში, მაგრამ წმინდა ქალწულ, მოციქულთა სწორ ნინოს ლოცვით ანგულთაზე ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის, ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფლის კვართია დაფლული. მის გარშემო აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი... სანამ კონსტანტინოპოლით გამოგზავნილი მღვდლები ჩამოვიდოდნენ, მირიან მეფემ სიხარულით ისტუმრა იოანე ეპისკოპოსი. სოლო წმინდა კონსტანტინე დიდმა ქრისტეს სჯულს შემდგარ მეფეს და ვრს გამოუგზავნა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა, ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი – კვარცხლბეკი და სამსჭვავლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

საგულისხმოა, რომ მტკერისა და არაგვის შესართავთან ნათელილო მეფემ, დედოფალმა, სამეფო კარმა და სრულიად ქართლმა.

საინტერესოა ისიც, რომ წმინდა ნინოს რჩევით, ერთი ჯვარი თხოთის მთაზე აღიმართა, მეორე – ქალაქ უჯარმაში, მესამე ჯვარი კი – (ანგელოზის პირით ეუწყათ) არაგვს გადმა კლდოვან ბორცვზე. როცა ეს ჯვარი (პატიოსანი) მცხეთაში აღიმართა, მაშინვე ყველა კერამ დაიმსხვრა ქართლში...

ამ დიდ დღესასწაულთან დაკავშირებით სვეტიცხოველში – სადაც საქართველოს გაბრწყინებაა გაცხადებული, განსაკუთრებული საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „...მჯერა, საქართველო გაუძღვებს ყოველგვარ გაჭირვებას, მტრის ზეწოლას, ანტიქრისტეს შემოტევას, რადგან ჩვენი გული, გონება და სული ღვთის რწმენით იქნება აღვსილი და იგი იქნება განმსაზღვრელი ჩვენი ყოფისა და მოქმედებისა“.

მამა ნიკოლოზი (უშრაბესკი) მესხრა პაპის მამა გახდა

ძუთაისში სასულიერო პირი მეცხრე ვაჟის მამა გახდა. მამა ნიკოლოზის (უშრაბესკი) მეცხრე ვაჟი ქუთაისის მერმა შოთა მურდულიამ და საკრებულოს დეპუტატმა ნიკოლოზ ლატარიამ სამშობიარო სახლში მოინახულეს.

ქუთაისის მერიის ინფორმაციით, მრავალშვილიანი ოჯახი ერთჯერად და ყოველთვიურ ფულად დახმარებას მერიისგან მიიღებს.

2006 წელს მამა ნიკოლოზი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა და ოჯახს 12 შვილზე მისცა კურთხევა. შესაბამისად, სასულიერო პირი და მისი მეუღლე 12 მოციქულის სახელზე კიდევ 3 ვაჟის გაჩენას გეგმავენ.

საკონსტიტუციო სასამართლომ ხელისუფლების ბაზაზე თავდაყირა დააყენა

დღის ამოჯახურიდან

ეს „თავისუფალი დემოკრატი“ მანასე აბაშიძე...

– დიას, დიას მანასეა და არა ზურაბი... თქვენ რა, ვერა ხედავთ, იმ მანასესავით ეგეც ხან ისეა და ხან ასე... ჰო, მართლა, აგერ, ახლა მაგათი პარტიის სხდომას ვუყურებ მეორე არხით და მთელი სხდომა კევს ალლაჭუნებდა, პირდაპირ იცონებოდა, თან ცოხნა-ცოხნით მობილურზე თამაშობდა და თანაპარტიელ ცვაგარევი შვილსაც ართობდა...

– ამ მუქთახორა, ცუდამყლაპავი პარლამენტარების შემყურეს ხან ყვირილი მინდებდა: ქართველო, ხელი თოხს იკარ! ან ქართველო, ხელი ბარს იკარ!..

ირაკლი ღარიბაშვილი:

აზერბაიჯანული ბაზის რუსულით ჩანასვლელებს არ ვაპირებთ

ადგილის დამკვიდრება ახლო აღმოსავლეთში?

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავან ვერ ნახავ!..

აზერბაიჯანული გაზის რუსულით ჩანასვლას არ ვაპირებთ

საბარტმელოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბაქოში ვიზიტს აზერბაიჯანის პრეზიდენტთან „თბილისი და მეგობრული ურთიერთობით“ ხსნის. აღნიშნულ საკითხზე პრემიერმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ისაუბრა.

„კითხვები დაისვა, თუ რატომ ვიყავი მე ბაქოში — ჩვენ პრეზიდენტ ალიევიან გვაქვს ძალიან თბილი, მეგობრული ურთიერთობა და ასე იქნება ყოველთვის, რადგან აზერბაიჯანი არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილი „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებთან დაკავშირებული საკითხის წამოწვევასაც გამოეხმაურა და ხაზი გაუსვა, რომ საქართველო აზერბაიჯანული გაზის რუსულით ჩანაცვლებას არ აპირებს.

პრემიერმა „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების გამო შექმნილ აჟიოტაჟს „საფუძველს მოკლებული სპეკულაციები“ უწოდა.

მაღა პენსიით, რა გავაკეთოთ სამი წლის მანძილზე

ბრძნე ვრთი სფერო, არც ერთი დარგი არ არსებობს, სადაც ჩვენ არ გვაქვს სერიოზული მიღწევა, — ამის შესახებ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

„ნებისმიერ სფეროში ჩვენ გვაქვს სერიოზული წინსვლა. თვის ბოლოს ვაპირებ 3-წლიანი ანგარიშის წარდგენას მოსახლეობისთვის, სადაც სფეროების მიხედვით ვრცლად ვისაუბრებ იმ მიღწევებზე, რომელიც ჩვენ მთავრობას აქვს. არც ერთი სფერო, არც ერთი დარგი არ არსებობს, სადაც ჩვენ არ გვაქვს სერიოზული მიღწევა და ჩვენ თუ ამას შევადარებთ წინა მთავრობის დროს გაკეთებულ საქმეებს, მოსახლეობა დაინახავს ძალიან დიდ სხვაობას. შემდეგ შეუძლიათ დასვან ლეგიტიმური შეკითხვა, თუ რა გააკეთა მთავრობამ ამ სამი წლისთაგან. ისინი ნახავენ და მოისმენენ ფაქტებზე დაყრდნობით ინფორმაციას, თუ რა გვაქვს ამ 3 წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრეზიდენტი და პრემიერი თურქ ხალხს უსამძიმრებენ



საბარტმელოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ანკარაში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს, თურქ ხალხს და თურქეთის ელჩს მიუსამძიმრა.

პრეზიდენტმა თურქეთის საელჩოში სამძიმრის წიგნი ჩანაწერიც გააკეთა. გიორგი მარგველაშვილი საელჩოში პრეზიდენტის მრჩეველ ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილთან ერთად იმყოფებოდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თურქეთის საელჩოში გახსნილ სამძიმრის წიგნში ჩანაწერი დატოვა.



ირაკლი ღარიბაშვილმა ანკარაში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო, საქართველოს მთავრობისა და ხალხის სახელით, გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს, თურქეთის მთავრობას და მთელ თურქ ხალხს მიუსამძიმრა.

„სასტიკად ვგმობთ მომხდარ საზარელ ქმედებას, რადგან ტერორიზმს არ შეიძლება მოეძებნოს გამართლება. ვიზიარებთ თქვენს დიდ მწუხარებას. გთხოვთ, კიდევ ერთხელ მიიღოთ ჩვენი ღრმა სამძიმარი და თანადგომა“, — ნათქვამია სამძიმრის წერილში.

სუბარი დავნილავს აფრთხილავს

ოქტომბრის ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი დევნილებს მოუწოდებს, ნუ ენდობიან ადამიანებს, რომლებიც ბინის საკითხის გადაწყვეტას ფულის სანაცვლოდ სთავაზობენ.

როგორც სუბარმა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, პრემიერ-მინისტრმა როგორც კი გამოაცხადა თბილისის ზღვაზე დევნილებისთვის ბინების შესყიდვის შესახებ, მეორე დღესვე გააქტიურდნენ თაღლითური ჯგუფები, რომლებმაც ბინების „გაყიდვა“ დაიწყეს. მინისტრის ინფორმაციით, ორი ასეთი ჯგუფი უკვე გამოვლენილი და დაკავებულია. სოზარ სუბარმა აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოავლინა დაჯგუფება, რომელსაც, მაგალითად, რომელიმე სახელმწიფო მოხელე დევნილს ესმარება არასწორად სოციალური ჯგუფის მიღებაში ან ექიმი — ინვალიდობის სტატუსის მიღებაში, თუმცა კონკრეტული სახელები და გვარები არ დაუსახელებია.

„ჭუალინგ ჯგუფის“ მიერ აშენებულ ოლიმპიურ სოფელში 630 დევნილი მიიღებს ბინას, მათ შორის, 330 — წელს, 300 — მომავალ წელს. კომისიას დაახლოებით ორი კვირის წინ უნდა დაემთავრე-

ბინა მუშაობა და დაამთავრა კიდევ, მაგრამ დღემდე დარჩა გარკვეული საკითხი გადასაწყვეტი. მაგალითად, ყოველთვის არის ადამიანი, რომელსაც არსებობს ეჭვი, რომ საბუთებში არ ჩანს, მაგრამ მას შეიძლება ჰქონდეს სადღაც ბინა, ვინაშე გადადგომებული. შემომგება ყოველთვის არ არის ადვილი. შეცდომა რომ გავგეპაროს, ეს ინვესტორს ვარაუდებს იმ დევნილებში, რომლებიც ამ ადამიანს იცნობენ და ჩვენგან განსხვავებით კარგად იციან, რომ მას აქვს საკუთრება. მე რე ინყება საუბარი, რომ ვინაშე საკუთრება აქვს, იმან მიიღო ბინა და ვისაც არ აქვს, კვლავ უქონელი დარჩა. იმის თქმა, რომ ჩვენ ყოველთვის 100%-ით შევძლებთ გადამონებებს, რა

თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ მაქსიმალურად სიფრთხილეს ვიჩენთ“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.

მინისტრმა ყველა დევნილს მოუწოდა, თუ ვინმე ეტყვის, რომ ფულით „გაუკეთებს ბინას“, ნუ ენდობიან და დევნილთა სამინისტროს, შსს-ს ან პროკურატურას მიმართონ.

3 წლის განმავლობაში დევნილებზე 3 373 ბინა გაცემული, — ამის შესახებ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე განაცხადა. როგორც მინისტრმა აღნიშნა, წლის ბოლომდე კიდევ 1450 ბინა გაიცემა.

„ამ 3 373 ბინის გარდა, არის 721 ბინა, რომელიც გამოვისყიდეთ ვერძო მესაკუთრეებისგან და გადაეცათ დევნილებს საკუთრებაში. ეს არის 18 ობიექტი, მათ შორის არის ისეთი ბინები, რომელიც არის ქალაქის ცენტრში. თითოეული მათგანი არის მაღალი დონის რემონტით“, — განაცხადა სუბარმა.



ამინდი კვლავ უარესდება

17 ოქტომბრამდე საქართველოში ცვალებადი, წვიმიანი ამინდი მოსალოდნელი. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსმა სვეტილანა ნიორაძემ განაცხადა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წვიმა მოსალოდნელი და ზოგან ძლიერიც. დასავლეთ საქართველოს დაბლობში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა 15-20, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 12-17 გრადუსი იქნება. თბილისში კვლავ იწვიმებს, იქნება ნისლი. ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა კი 14 გრადუსი აღინუსხება.

14-15 ოქტომბერს აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთაში შესაძლებელია იყოს თოვლქაყაბი. 15-16 ოქტომბერს სინოპტიკოსები საქართველოს ზოგიერთ რაიონში წვიმის ნალექს კვლავ პროგნოზირებენ. 17 ოქტომბრიდან შედარებით გამოიადრებს და ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს.



აზაპი „რუსთავი-2“-ისა...

ქიბარ ხალვაში ძიუზ ყარაბაგშილებს დებატებში იწვევს

ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში რუსთავი-2-ის ნომინალურ მფლობელს, ძიუზ ყარაბაგშილებს ტელედებატებში იწვევს.

როგორც ბიზნესმენის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, ის თვლის, რომ მართებული იქნება სწორედ ამ ფორმატში გაიშალოს დისკუსია და სულ რამდენიმე წუთში გახდეს ცხადი, ვის წარმოადგენენ რეალურად ყარაბაგშილები და მათი ტელეკომპანია „საქართველო“.

„ღია ეთერში, ტელედებატების ფორმატში, სასაუბროდ ვინცე „რუსთავი-2“-ის ნომინალურ მფლობელს, ძიუზ ყარაბაგშილებს, თუ სურთ ორივეს ერთად, თუ სურთ, — ერთ-ერთს. ვფიქრობ, მართებული იქნება, სწორედ ამ ფორმატში გავშალოთ დისკუსია და სულ რამდენიმე წუთში გახდეს ცხადი, ვის წარმოადგენენ რეალურად ყარაბაგშილები და მათი ტელეკომპანია „საქართველო“.

საკმაო ხანს ვიკავებდი თავს მედიაციის ცეცხლში აქტიურობისგან. მიმანია, რომ ჩემი საკუთრების უფლების საკითხი, მათ შორის, „რუსთავი-2“-ის წილებთან მიმართებაში, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, როგორც ეს, ნებისმიერ ქონებრივ დავასთან დაკავშირებით, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ხდება.

ფაქტია, „რუსთავი-2“-ის დღევანდელი მენეჯმენტის მიერ მართული, პროპაგანდისტული მანქანად ქცეული საინფორმაციო სამსახური სრულად არის გადართული საკითხის ფაქტობრივი გარემოებებიდან საზოგადოების ყურადღების გადატანაზე. სწორედ ამ მიზნით ეთმობა ეთერი ყოფით ნიადაგზე მომხდარი სხვადასხვა შემთხვევის ამსახველ მსხვილ-მსხვილ სიუჟეტებს, სადაც მტკიცებით ფორმაში მიეწოდება მაყურებელს ინფორმაცია, თუ აი, თურმე რატომ იღებს სასამართლო „რუსთავი-2“-ის და მისი ნომინალური მფლობელის — ტელეკომპანია „საქართველოს“ ქონების და წილების დაყადაღების გადაწყვეტილებას.

ეს არ არის მთავარი. ეს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფი მე-

ნეჯმენტის სტილია, რომელსაც, იმავდროულად, და არანაკლებ აღელვებს კომპანიის ხარჯზე მოწყობილი საკუთარი კეთილდღეობა და მისი დაკარგვის შიშით უდიდესი ნაწილი წლებია ცნობს და მასში იგი ირონიულ დომინანტად თუ იწვევს.

მთავარი ის არის, რომ პროპაგანდაში „მაგები“ მაყურებლის შეცდომაში შეყვანას და საკითხის რეალური და ფაქტობრივი გარემოებებიდან მათი ყურადღების გატანას ყველა ეთმობს და ხერხით ცდილობენ. პარალელურად, ნაპროკურორალი დირექტორი გვარამია აკეთებს სხვადასხვა განცხადებებს, რომ დიას, იქნება ზეწოლა სასამართლოზე და ბოლოში დასქნის — კანონის ფარგლებში. ალბათ, ოდესმე, იურისტი გვარამია, განმარტავს, რომელი კანონით ვალისწინებს სასამართლოზე ზეწოლას და რომელი კანონქვემდებარე აქტი განსაზღვრავს ზღვარს ზეწოლასა და მედიის მიერ ფაქტების მიუკერძოებელ გაშუქებას შორის.

მე მხოლოდ იმას შევასვენებ „რუსთავი-2“-ის ნომინალური მფლობელების მიერ დანიშნულ დირექტორს, რომ სასამართლო არც ჩემია და არც მისი. სასამართლო არის ინსტიტუტი, რომელიც უზუნაესია დემოკრატიულ საზოგადოებაში და რომელიც, ნორმალურ საზოგადოებაში არც ზეწოლას ექვემდებარება და არც შანტაჟს. არც იმის გახსენება იქნება ურიტო გვარამიასთვის, თუ დამოუკიდებლობის რა ხარისხით სარგებლობდა სასამართლო მისი პროკურატორისა და დამოუკიდებლობის რა ხარისხია დღევანდელ სასამართლო სისტემაში. ნუ იტყვის სხვადასხვა, თავისთვის შეისხვოს.

თუმცა, მე ნომინალური მფლობელების მიერ დანიშნულ ე.წ. დირექტორთან, საქმე არ მაქვს... თავად ამ ნომინალურ მფლობელს კი ამ საჯარო განცხადებით ვინცე ტელედებატებში, თუნდაც „რუსთავი-2“-ისავე ღია ეთერში. ველი მათ გამოსხაურებას ორი დღის განმავლობაში“, — ნათქვამია ქიბარ ხალვაშის განცხადებაში.

პირნიდად მოვიბაბთ?

ლია წერილი

ზაზა პაპუაშვილი



რამდენიმე დღის წინათ ტაში დაგიკარით. რა თქმა უნდა, მერჩია, ეს ტაში რობერტ სტურუას ახალ სპექტაკლში განსახიერებელი თქვენი პერსონაჟისთვის ყოფილიყო განუთვნილი, მაგრამ რას ვიზამთ, დრომ და ვითარებამ ასე მოითხოვა: პარლამენტში უნდა იყო. უნდა იყო თუნდაც იმიტომ, რომ ნაცურ უტიფრობას საჯაროდ დაუპირისპირდეთ. წლების შემდეგ, ალბათ, გაგიჭირდებათ იმის თქმა, სად მეტ ემოციას ხარჯავდით — სახელგანთქმულ თეატრში თუ სახელგანთქმულ (ორმოცდაათნაციანი) პარლამენტში: როცა უმცავსობას უპირისპირდებით, ტელეეკრანიდან, თითქოს, თქვენი გულის ბაგაბუგიც გვესმის. ეს ადვილად ასახსნელია: უკიდურესად ძნელია იმის ცქერა და მოსმენა, როცა **გია ბარამიძე** და **გივი თარგამაძე** დამნაშავეთა დასჯის აუცილებლობაზე საუბრობენ, **ხათუნა გოგორიშვილი** და **მიხეილ მაჭავარიანი** — არჩევნების პატიოსნად ჩატარებაზე, **ირმა ნადირაშვილი** კი ნეპოტიზმს „ებრძვის“... თქვენი გამოსვლით გულს მოვიოხებთ ხოლმე, თუმცა მეტი კორექტულობის სურვილიც ხშირად გვიჩნდება.

ეს ღია წერილი კი სულ სხვა მიზეზმა დაბადა. შემაშვოთა თქვენმა ერთმა ფრაზამ: **„ამ არჩევნებსაც პირნიდად მოვიგებთ.“**

ღმერთმა გისმინოთ, მაგრამ ასეთი თავდაჯერების საფუძველს, სამწუხაროდ, ვეღარ ვხედავ. ვეღარ ვხედავ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებს (ილიას აზრით, მომეტებულად ქართველებს) უმადურობა ოდითგან მოგვდგამს — **ბიძინა ივანიშვილის** ღვაწლს დღეს ისინიც ვეღარ ხედავენ, „ნაციონალურ“ ჯოჯოხეთს თავი მისი წყალობით რომ დააღწიეს...

საუბედუროდ, შეცდომაც ბევრია დაშვებული. მიმოიხედეთ თქვენს ირგვლივ პარლამენტის დარბაზში და გულახდილად თქვით (ნაცების გარდა), რამდენი არ მიგაჩნიათ იქ ჯდომის ღირსად...

როგორ ფიქრობთ, ახალი პარლამენტისთვისაც ასეთ სიას შეადგენენ? ისევ მოძებნიან, მაგალითად, საშუალო დონის, ნახევრად „არასამთავრობო“ ყურნალისტებს, დააოჯახებენ, ქორწინლსაც გადაუხდინან. ისინი კი, პარლამენტარობას რომ განაღდებენ, განცხრომას მიეცემიან, რა ენაღვლებათ, დაე, უტიფარ ნაცებს თქვენაირმა „თავზეხელაღებულებმა“ მიხედონ. შეცდომა პარლამენტს გარეთაც უამრავია.

ტრადიციული შეხედულებით, ხალხი ორ რამეს ითხოვს: **ბურსა** და **სანახაობა**.

დღეს ეს მოთხოვნები მნიშვნელოვნად სახეცვლილია. ხალხი ახლა **პენსიასა** და **სამართლიანობას** მოითხოვს. დღეს ორივე პრობლემაურია. დაპირებები?!

ეს კიდევ ცალკე პრობლემაა. უცნაურია, მაგრამ „ქართული ოცნების“ შეცდომა დაპირებაა და არა მისი შეუსრულებლობა.

ახლა ძნელია ხალხისთვის იმის ახსნა, რომ შეცდომასა და დანაშაულს „შუა უზის დიდი ზღვარი“, რომ დაქვემდებარებულია სამ წელიწადში ფეხზე ვერ წამოაყენებ, რომ სახელმწიფო რეკეტზე უარის თქმის შემთხვევაში, პენსიას ვერ გაზრდი, რომ მოპარული მილიონები მოსყიდული უცხოელი ლობისტები დამნაშავე მალაჩინოსანთა დასჯის უფლებას არ მოგცემენ... რატომ გვპირდებოდნენ?! — ასეთია მასის ლოგიკა.

მე ბიძინა ივანიშვილისთვის ხმა არ მიმიცია დაპირებების გამო. რისთვისაც ხმა მივეცი, ის 2012 წლის პირველ ოქტომბერსვე ასრულდა — „ნაციონალური“ ხელისუფლება მოვიშორეთ.

მაგრამ მოვიშორეთ? — საკითხავი აი, ეს არის.

რომ მოგვეშორებინა, იმ დღეს ტაშს ტელეეკრანთან კი არა, კვლავ რუსთაველის თეატრში დაგიკრავდით. კიდევ ერთი შეცდომა, ოღონდ არ თქვათ, პირადულზე გადავიდაო. მართალია, კარგად არ მიცნობთ, მაგრამ სხვები გეტყვიან (მაგალითად, ბატონი რობერტი), რომ მეთავისე არ გახლავართ: საქმე ნაცების (**უგულავა, ბეგაშვილი**) მიერ დახურული გაზეთ „თბილისის“ აღდგენას ეხება. მათ ჩემი პოზიცია არ მოსწონდათ („ეროვნულ ვანვებოდი“ — მაპატიოს მკითხველმა). ნაციონალიზმი, მოვიდა „ქართული ოცნება“. ყველა ელოდებოდა „თბილისის“ აღდგენას. სამი წელი გავიდა. დედაქალაქს თავისი გაზეთი ისევ არა აქვს. ჯერ მიზეზად ეს ჰქონდათ: „ვიდრე უგულავა კვლავ მერია“... აღარ არის. **დავით ნარმანია** (თავაზიანი, ყურადღებიანი) — „გმუშაობთ მაგ საკითხზე“. შედეგი არ ჩანს. არ მინდა, დავიჯერო, რომ გაზეთის მნიშვნელობა არ იცინა. არადა, ჯერ კიდევ როდის ესმოდა ეს აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ იშვიათად ჭკვიან პრეზიდენტს **თომას ჯეფერსონს**?! მისი სიტყვებია: **„ასეთი არჩევანის წინაშე რომ დამაყენონ — მთავრობა თუ გაზეთები, უყოფმანოდ ავირჩევდი მეორეს“**...

თითქმის ყველა რაიონს (მუნიციპალიტეტს) აქვს თავისი გაზეთი, დედაქალაქს — არა.

ეს ხომ ნამდვილი კურორია?

ეჭვი არ მეპარება, რომ ბატონ ნარმანიას გულწრფელად სურს მისი აღდგენა, მაგრამ ფრთხილობს, ინიციატივას ვერ იჩენს — ისედაც ბევრი თავსატეხი აქვს, კიდევ რომ არ მოიმატოს. ვინ იცის, რა პოზიციას დაიჭერს საკრებულო, ან უფრო ზემოთ რას იტყვიან...

საკრებულო? — იქ ვინ უნდა იყოს წინააღმდეგი (ნაცებს არ ვგულისხმობ) — **გიორგი ალიბეგაშვილი? თამარ ტალიაშვილი? ჯაბა სამუშია? ალექო ელისაშვილი?**

თუმცა, ვინ იცის — ასე, ალბათ, ბატონი დავითი ფიქრობს, მე როგორ ვიფიქრებ?!

სხვათა შორის, ჩემი განცხადება, ბატონი ალიბეგაშვილის სახელზე შეტანილი, ქალბატონმა ტალიაშვილმა მერიას გადაუხვანა — განისილეთ და პასუხი აცნობეთო. წინასწარ ვიცო, რასაც მაცნობებენ: „სამწუხაროდ, შესაბამისი თანხა ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის“...

ნაცებიც ასე მწერდნენ ხოლმე. თუ არ გაითვალისწინებენ, არც არასოდეს იქნება. **ირაკლი დარბაზილი?** — პრემიერ-მინისტრი, ვისაც ნაცები ასე გააფთრებთ სწორედ იმიტომ ებრძვიან, რომ უნათო არ არის(?!)...

ბატონი ირაკლი, ბუნებრივია, იტყვის: თბილისს ჰყავს არჩეული მერი და საკრებულო. თავად გადაწყვიტონ.

ვერ წყვეტენ. ბატონო ზაზა, რა თქმა უნდა, ხვდებით, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ერთადერთ კაცს შეუძლია. და აქ მივადექით მთავარ პრობლემას, ანუ ნაცების ერთადერთ მმართველს. მე კი მინდა, რომ მათს დემოკრატის ეს ერთადერთი საფუძველიც გამოეცალოს, ანუ ქვეყნის მმართველი ერქვას მას, ვინც რეალურად მართავს. დარწმუნებული ვარ, ეს თქვენც გინდათ.

ჰოდა, იმოქმედეთ... ვიმოქმედოთ... და ვინ იცის, ძალიან არ დაგვიანდეს ის დღე, როცა ტაშს კვლავ რუსთაველის თეატრში დაგიკრავთ... გულწრფელი პატივისცემით,

იოსებ ჭუმბურიძე



© 305 — 305?

აღრა თუ არ ჰქონდა რუსულ ფულს სუნი, ახლა აყრულა?

ჩვენი ხელისუფლება, წინა და იმის წინა ხელისუფლებაც თანამშრომლობდა „გაზპრომთან“ და ვფიქრობ, პრობლემა არ შექმნილა, — ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ „გაზპრომთან“ დაკავშირებით დასმული შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა.

რაც შეეხება ოპოზიციის მოთხოვნას, რომ კახა კალაძე პარლამენტში მივიდეს და „გაზპრომთან“ დაკავშირებით შეკითხვებს პასუხი გასცეს, კახა კალაძემ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები თავისთან ენერგეტიკის სამინისტროში მიიბაძიო.

„მე, ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობ. თავისუფლად შეუძლიათ მოზრძანდნენ ენერგეტიკის სამინისტროში. მე გუშინ მოვუსმინე გარკვეული პარტიების განცხადებებს. შემიძლია გითხრა, რომ ღია კარებს ამტვრევენ. აბსოლუტურად გაუგებარია, გაუმართლებელია ის განცხადებები, რა ქრილშიც ისინი აკეთებენ. კიდევ ერთხელ



მინდა განვმარტო, რომ აღმოსავლეთ ევროპა, დასავლეთ ევროპა, აზიის ქვეყნები, კავკასიაში მდებარე ქვეყნები, ყველა, წლებია თანამშრომლობს „გაზპრომთან“. ჩვენი ხელისუფლება, წინა და იმის წინა ხელისუფლება თანამშრომლობდა „გაზპრომთან“ და მე ვფიქრობ, პრობლემა არ შექმნილა. დღეს რატომ წამოიწია ეს საკითხი, როდესაც ჩვენ ყოველწლიურ რეჟიმში ვასორციელებთ ამ კომპანიასთან მოლაპარაკებას. ყოველწლიურად შემოგვაქვს ბუნებრივი აირი რუსეთიდან, ვფიქრობ, გაუგებარია ეს განცხადებები“, — განაცხადა კახა კალაძემ.

კითხვაზე, იყო თუ არა საქმის კურსში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი, ან ყოფილი პრემიერ ბიძინა ივანიშვილი, როცა კახა კალაძემ „გაზპრომის“ წარმომადგენლებთან მართავდა შეხვედრას, ენერგეტიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს არის დარგში არსებული თანამშრომლობა.

„კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ თანამშრომლობთ „ინტერრაოსთან“, შემოგვაქვს ელექტროენერჯია რუსეთიდან. მაშინაც კი, როდესაც საომარ პირობებში ვიმყოფებოდით, 2008 წელს, ბუნებრივი აირიც, ელექტროენერჯიაც რუსეთიდან შემოგვქონდა და პრობლემა და კითხვა არ გაჩენილა და რატომ ჩნდება დღეს. წინა ხელისუფლების სერვისები ღიად ამბობდა, რომ რუსულ ფულს სუნი არა აქვს ინვესტიციებთან მიმართებაში. ამ მიმართულებით შემიძლია გითხრა, რომ არანაირი პრობლემა არ არის. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი მეგობრული ურთიერთობა და ენერგეტიკულ მიმართულებას ნუ გავაპოლიტიკურებთ. ნუ გადავიყვანთ ამ ყველაფერს პოლიტიკურ ქრილში. ეს ურთიერთობები წლების წინათ იყო, არის და მომავალშიც იქნება“, — განაცხადა კალაძემ.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის ირაკლი ლარიაშვილის განცხადებას, რომ არავითარ დივერსიფიკაციაზე აზერბაიჯანული გაზის ჩანაცვლებაზე საუბარი არ მიდის, კალაძემ აღნიშნა, რომ დივერსიფიკაცია დღესაც არის.

ინტერპრესი

© თბილისიდან ავღანეთში...



ქართველი გენერალი გაეროს მისიის მრჩეველია

სამხრეთში შვიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ბრიგადის გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამხმარე მისიაში ავღანეთში უფროსი სამხედრო მრჩეველი გახდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ჩაჩიბაია რეგიონში პირველი ქართველი სამხედრო, რომელიც საერთაშორისო მისიაში ამ პასუხისმგებლობით ერთვება. უფროსი სამხედრო მრჩეველის პოზიციაზე ვლადიმერ ჩაჩიბაიას კონკურენციას სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები უწევდნენ.

ავღანეთში უფროსი სამხედრო მრჩეველის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ვლადიმერ ჩაჩიბაიას ამოცანა სპეციალური წარმომადგენლისთვის სამხედრო მრჩეველის მიცემა, გენერალურ შტაბზე პასუხისმგებლობა და მისიასა და ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს შორის კოორდინაციის განხორციელება იქნება.

„ასევე ურთიერთობა მექნება კოალიციური ძალების შტაბთან, ავღანეთში მყოფ ატაშეებთან. მეყოლება მრჩეველთა ჯგუფი,

რომელიც დაკომპლექტებულია უცხო ქვეყნების სამხედრო ოფიცრებისგან. ყოველკვირეულად მოვამზადებთ ანგარიშს და რეკომენდაციებს არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ასევე პასუხისმგებლები ვართ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაზე, ვიმუშავებთ ანალიზზე და პირდაპირ კავშირზე ვიქნებით ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების შტაბის სამშვიდობო ოპერაციებისა და სამოქალაქო-სამხედრო დეპარტამენტთან“, — განაცხადა ბრიგადის გენერალმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ.

პირისპირ

საკონსტიტუციო სასამართლომ ხელისუფლების ბაზა თავდაყირა დააყენა



საკონსტიტუციო სასამართლომ მოკლე ხანში ხელისუფლებას მეორე მხარე გაკვეთილი ჩაუტარა. სასამართლომ ეროვნული ბანკის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ და „თავისუფალი დემოკრატების“ სარჩელი წარმოებაში მიიღო და საფინანსო ზედამხედველობის ახლადშექმნილი სააგენტოს მუშაობა შეაჩერა. რა კონტრნაბიჯს გადაადგამს ხელისუფლებამ, ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

საპარლამენტო ოპოზიციამ სადავოდ „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებს მიიჩნევდა. პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილების მიხედვით, შეიქმნა „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო“, რომელსაც იმ ფუნქციების განხორციელება დაეკისრა, რაც მანამდე ეროვნული ბანკის უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა.

კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სააგენტოს საბჭოს არჩევნებში საქართველოს პრეზიდენტი არ მონაწილეობს, რაც მონარჩევეთა აზრით, პრეზიდენტის კომპეტენციას არღვევს და კანონი საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რადგან საფინანსო სექტორის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი ორგანოს ფორმირებაში პრეზიდენტის ჩართვას, კონსტიტუცია აუცილებლად მიიჩნევს.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ საბანკო ზედამხედველობის კანონზე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი 22 სექტემბერს შეიტანეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 9-დან 5-მა წევრმა მიიჩნია, რომ საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე სადავო ნორმების მოქმედებას შეეძლო ექვემდებარებინა არა მხოლოდ ქვეყნის საფინანსო-საბანკო სექტორის მდგრადობა, არამედ გამოენაცია კონკრეტული პირების (საბანკო ურთიერთობის მონაწილეების, ინვესტორების, მენეჯერების) უფლებებისა და ინტერესებისათვის გამოუსწორებელი შედეგი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩერა საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საქმიანობა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ეს ფუნქცია ისევ ეროვნულ ბანკს დაუბრუნდა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თამაზ მეჭიაურის თქმით, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საერთო საქმეს არ წაადგება, რადგან ზედამხედველობის სააგენტომ ფაქტობრივად მუშაობის დაწყება ვერ მოახერხა.

„არ მიმაჩნია სწორ გადაწყვეტილებად, ეს უფრო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯის შთაბეჭდილებას ტოვებს. სააგენტომ, ფაქტობრივად, ვერ დაიწყო მუშაობა, მას ამის საშუალება არ მიეცა. ჯერჯერობით მხოლოდ ტექნიკური საკითხებით იყვნენ დაკავებული. ვფიქრობ, ეს კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობას დათესავს საზოგადოებაში. რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარლამენტი, მთავრობა, ამაზე ინფორმირებული არ ვარ“, — განაცხადა მეჭიაურმა.

მას მხარს უჭერს პარლამენტის დეპუტატი და კანონპროექტის თანაავტორი ნოდარ ებანოძე.

„ექვთი მეპარება, სერიოზული არგუმენტები არსებობდეს, რომ ჩვენ მიერ მიღე-

ბული მოდელი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. სასამართლომ მიიჩნია: არის გარკვეული საფუძვლები იმისა, რომ პარლამენტის მიერ განხორციელებული ცვლილებებზე იმსჯელოს. ფინანსური ზედამხედველობის სამსახურს პოტენციური უფლებამოსილებების შესრულება ჯერ არ დაუწყია. ეს უფლებამოსილება ჯერ კვლავ ეროვნულ ბანკს ჰქონდა. მიმდინარე ეტაპზე ისინი საორგანიზაციო საკითხებს წყვეტდნენ და ამით არსობრივად არაფერი იცვლება.“

იმედი მაქვს, ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო მოკლე ვადაში იმსჯელებს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. ექვთი მეპარება, სერიოზული არგუმენტები არსებობდეს იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტის მიერ მიღებული მოდელი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება“, — აცხადებს ნოდარ ებანოძე.

ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით კარგ ხასიათზე არიან საკონსტიტუციო სასამართლოში მომჩივანები. ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი

ზურაბ აბაშიძე საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მუშაობის შეჩერების თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სწორს და სასამართლიანს უწოდებს.

როგორც აბაშიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მათი სარჩელის წარმოებაში მიღებით დადასტურდა, რომ საქართველოში არსებობენ ინსტიტუტები, რომლებიც ხელისუფლების მიერ გადადგმული არასწორი ნაბიჯების რევიზიას ახდენენ.

„ეს არის ძალიან სერიოზული გადაწყვეტილება, რომელსაც მოყვება ის, რომ კვლავ ეროვნული ბანკი გააგრძელებს თავის საქმიანობის შესრულებას, რომელიც კონსტიტუციით ჰქონდა განსაზღვრული. ესაა სწორი, სამართლიანი და ის გადაწყვეტილება, რომელსაც ველოდით ჩვენ და ელოდა საზოგადოება. დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხელისუფლებამ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ცალკე შექმნით არასწორი გადაწყვეტილება მიიღო“, — განაცხადა ზ. აბაშიძემ.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოსთვის მუშაობის შეჩერებას გამართლებულად მიიჩნევს თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის დეკანი გიგა ბედინიშვილი.

„აღნიშნულ პროცესებში აქტიურად ვიყავი ჩართული. ამ პროცესების მოწმე გახლავართ და სასამართლო დამკითხა კიდევ. ჩემი არგუმენტები იყო ის, რომ თავად სააგენტოს მუშაობა მიმაჩნია არაკონსტიტუციურად. შეჩერება აუცილებელი იყო, რადგანაც რომ დაეწყო ის სააგენტოს მუშაობა და მერე მომხდარიყო კანონის არაკონსტიტუციურობა ცნობა, ეს ძალიან დიდ ცვლილებებს გამოიწვევდა, წარმოშობდა უამრავ მოთხოვნას ზარალის ანაზღაურებაზე, რაც საბოლოო ჯამში, საბანკო სექტორს დაარტყამდა“, — აღნიშნა ბედინიშვილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება მინიმუმ 4 თვეში და მაქსიმუმ 11 თვეში უნდა მიიღოს.

ბაძა დანელია

ალიან-ჩალიანი

ქართველ მესწავლეებს „ვოლკსვაგენი“ დააწინასწარმ



საქართველოში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე „ვოლკსვაგენის“ ფონდის გენერალურ მდივანს ვილჰელმ კრულსა და ფონდის სხვა წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოში მეცნიერების განვითარების პერსპექტივები და საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საკითხები განიხილეს სადოქტორო საფეხურზე სწავლებისა და კვლევის მიმართულებით.

შეხვედრაზე, რომელსაც შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი მარინა ჩიტაშვილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი გიგა ზედანია ესწრებოდნენ, ქართველ მკვლევარებსა და გერმანელ მეცნიერებს შორის თანამშრომლობის თაობაზე იმსჯელებს, კერძოდ, როგორ გაუმჯობესდება ახალგაზრდა ქართველი დოქტორანტებისა და მკვლევარების შესაძლებლობები. საუბარი შეეხო ასევე დოქტორანტთა სამომავლო პერსპექტივებს, როგორც კვალიფიკაციის კუთხით, ისე კვლევით აქტივობებში.

„ვოლკსვაგენის“ ფონდის გენერალური მდივანის ვილჰელმ კრულსის თქმით, თამარ სანიკიძესთან ძალიან საინტერესო შეხვედრა შედგა და მნიშვნელოვანია, რომ ქართველ მკვლევარებს და გერმანელ მეცნიერებს თანამშრომლობის შესაძლებლობა ეძლევათ. „ვოლკსვაგენის“ ფონდი მსოფლიოში მეცნიერების ყველაზე დიდი დამფინანსებელია. მეცნიერების ყველა სფეროში, კვლევით პროექტებს ის 1962 წლიდან აფინანსებს.

„საქართველოს პირველი რესპუბლიკა“

„თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით, ეროვნულ გალერეაში 1918-1921 წლების ისტორიის ამსახველი საარქივო მასალების გამოფენა — „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ გაიხსნა. გამოფენა ეროვნული არქივის დაარსებიდან 95 წლის იუბილეს ეძღვნება.

გამოფენაზე წარმოდგენილია დამოუკიდებლობის ისტორიის ამსახველი ფოტოები, დოკუმენტების დედნები და ფოტორეპროდუქციები, რომლებიც ეროვნულ არქივშია დაცული. ეს მასალა მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და სახელმწიფო აღრიცხვა, პირველი არჩევნები, საქართველოს დამფუძნებელი კრება და საკანონმდებლო საქმიანობა; სახელმწიფო და ეკლესია; საგარეო ურთიერთობები; შეიარაღებული ძალები; საზოგადოებრივი ცხოვრება; დამოუკიდებლობის დაკარგვა და ა.შ.

გამოფენაზე წარმოდგენილი საარქივო მასალების ნაწილი ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. მათ შორის ერთა ლიგაში საქართველოს პირველი რესპუბლიკის წარმომადგენლის სარტიტო შავიშვილის არქივიც, რომლის ციფრული ვერსიის ჩამოტანა შენევის გაეროს განყოფილების ბიბლიოთეკიდან 2015 წელს მოხერხდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ გამოფენას საქართველოს ეროვნული გალერეა 31 ოქტომბრამდე უმასპინძლებს, ნოემბერში კი ის რეგიონებში გადაინაცვლებს.

„საქართველოს რკინიგზა“ მასალათაში უპიდი ელგაპალი გაუშვა

„საქართველოს რკინიგზის“ ინფორმაციით, სარემონტო სამუშაოები თბილისის ელმავალშემკეთებელ ქარხანაში მიმდინარე წელს ჩატარდა და ელმავლები ახალი დიზაინით შეიცვალა. შეკეთების შედეგად მატარებლების უსაფრთხო გადაადგილების შესაძლებლობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ელმავლებზე აღჭურვილია თანამედროვე ტიპის ტექნიკური საშუალებებით, რამაც სალოკომოტივო სიგნალიზაციისა და რადიოსიგნალის მიღება-გადაცემის ხარისხი საგრძობლად გააუმჯობესა. სალოკომოტივო ბრიგადების შრომითი პირობების გაუმჯობესების მიზნით კი სრულიად განახლდა მემანქანის კაბინა, რომელიც მაცივ-

რით, კონდიციონერთა და მიკროტალღური ღუმელით აღიჭურვა.

ახალ წელს თბილისის ანძა ახალი ბანათებით უხვდება

შპს „სინათლის ძაღბძემ“ თბილისის ანძის დაზიანებული სანათების დემონტაჟი დაიწყო. თბილისის მერიის ინფორმაციით, მიმდინარე სამუშაოები დედაქალაქის მერმა დაავით ნარმანიამ შპს „სინათლის ძაღბძეს“ დირექტორთან ვასილ ხორავასთან ერთად დაათვალიერა. სამუშაო პროცესი დეკემბრის შუა რიცხვებამდე გასტანს, ახალ წელს კი თბილისის ანძა ახალი განათებით შესვენდება.

„ანძის ძველი ნაწილების დემონტაჟი დაიწყო. სანათების დიდი ნაწილი მწვობრივად არის გამოწვდილი. ახალ „ლედ სანათებს“ ჩვენს მიერ შერჩეული იტალიური კომპანია ეტაპობრივად, სამ ნაწილად მოგვანადის. ყველა პირობის გათვალისწინებით, ახალ წელს თბილისის ანძა ახლებურად იქნება განათებული“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

დაზიანებული სანათების დემონტაჟი 20 დღეს გასტანს, რის შემდეგაც ახალი სანათები დამონტაჟდება.

დედაქალაქის მერიის მიერ გათვალისწინებული ყველა კრიტერიუმში იტალიურმა კომპანიამ „გრივენი“ დააკმაყოფილა, რომლის სახელსაც არაერთი მასშტაბური პროექტი უკავშირდება, მათ შორის — „გრივენი“ მიერ იყო განათებული ეიფელის კოშკი, 6 თვის განმავლობაში, საფრანგეთის ეროვნული პრეზიდენტობის აღსანიშნავად.

თბილისის ანძა, დღეს, 5 000 ცალი „ფლეშ“ სანათისგან შედგება, რომელიც 2010 წელს დამონტაჟდა. სანათების არასწორი სტანდარტებით დამონტაჟების გამო მათგან, დაახლოებით, ნახევარზე მეტი მწვობრივად არის გამოწვდილი. კომპანია „გრივენი“ მიერ შემოთავაზებული პროექტის ღირებულება 635 000 ევროს ეკვივალენტს ღირს.

ინტერპრესი

სამინისტროს ანგარიში

სახსტუმრო „რედისონ ბლუს“ საკონფერენციო დარბაზში 12 ოქტომბერს მინისტრთა კაბინეტის, პარლამენტის წევრების, დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენელთა თანდასწრებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახაბერ პაპიაშვილმა „ღია მმართველობის“ ფორმატში, მისდამი ქვემდებარე უწყების მოღვაწეობის სამი წლის ანგარიში წარადგინა.



პენიტენციური სისტემის დეკანდოლოგია

ვიდრე მინისტრის გამოსვლასა და თავად ანგარიშის შინაარსზე მოგახსენებდეთ, აუცილებლად აღვნიშნავთ სასტუმროს ფოიეში საგანგებოდ მოწყობილ ერთგვარ ფოტორეპორტაჟზე, რომლის ექსპოზიციასში პენიტენციური სისტემის სხვადასხვა დანესებულებისა და სამსახურის, ასე ვთქვათ, გუშინდელი და დღევანდელი დღე იყო ასახული.

თქმა არ უნდა, პატიმრობაში ყოფნა ყველა ბრალდებულისა თუ მსჯავრდებულისთვის, დამნაშავეობის, მით უმეტეს კი უდანაშაულობის მიუხედავად, უაღრესად მძიმე განსაცდელია, მაგრამ, როცა ამასთან ერთად ყოველდღიური ყოფის პირობებიც სრულიად აუტანელია, ადამიანის ტანჯვა ათმაგდება და ასმაგდება. ფოტოსურათებზე ასახული სადღეისო სინამდვილე და ადრე არსებული ვითარება, ერთმანეთისგან ცა და მიწასავითაა განსხვავებული. ეს უხეზაროგორც სხვადასხვა სახეობის თავისუფლების შეზღუდვის დანესებულებებს, ასევე შეხვედრებისა თუ პაემნების ოთახებს, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საცხოვრებელ საკნებს და ა. შ., - მათი მიახლოებით შედარებაც კი შეუძლებელია!

დამსწრეთა წინაშე სიტყვით გამოსულმა სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრმა კახა პაპიაშვილმა, მისდამი დაქვემდებარებული უწყების ყველა სამსახურის საქმიანობა მიმოიხილა, ხაზი გაუსვა იმას, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, ამჟამად სისტემაში მუშაობის მთავარი პრიორიტეტი, სათანადო რეჟიმის უზრუნველყოფასთან ერთად, ადამიანის უფლებათა დაცვაა.

საამისოდ, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ჩვენი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, რის გაკეთება ჩვენი პარტნიორების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ქვეყნების დახმარებით, აგრეთვე

ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეძენილი, რისთვისაც დაახლოებით 40 კანონში შეტანილ იქნა სათანადო ცვლილება, დაინერგა ახალი კანონი „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შენახებ“, - განაცხადა ბატონმა კახაბერმა. - დღესდღეობით, ნაშემა, ცემა და ადამიანის ღირსების შემლახავი მსგავსი მოქმედებები სისტემაში, ფაქტობრივად, აღმოფხვრილია, თუმცა კი ცალკეული ინციდენტები მაინც ხდება, რისგან მსოფლიოში არც ერთი, რაგინდ სრულყოფილი მოდელი, დაზღვეული არ არის. ამჟამად ყოველ თავისუფლებაშეზღუდულ პირზე განკუთვნილი ფართი, სამედიცინო მომსახურების დონე და ა. შ., ევროპული სტანდარტების შესაბამისია. ჩვენ შევქმენით ახალი რეალობა, რომელიც თავიდან ბოლომდე, მსჯავრდებულსა და ბრალდებულთან ერთად, უწყების თითოეული თანამშრომლის უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული, - დასძინა მინისტრმა.

ბატონმა კახაბერმა დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო სხვა მნიშვნელოვან

კომპონენტებსაც, რომლებზეც მუშაობის ბოლო სამი წლის მანძილზე სამინისტრო იყო ორიენტირებული. მათ შორისაა, კერძოდ, მართვის სისტემის გაუმჯობესება და მმართველი რგოლის კონსოლიდაცია, რამაც ხელი შეუწყო ძლიერი სამსახურის ჩამოყალიბებას, მწყობრი საკადრო პოლიტიკის გატარება, გამართული სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, სისტემის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება, ასევე მართვის სათანადო სამართლებრივი და გარანტიების უზრუნველყოფა, ზრუნვა უსაფრთხოებასა და განათლებაზე; სასჯელაღსრულების სისტემის ინტეგრირება ცენტრალურ აპარატთან, რაც ერთიანი ტომ-მენეჯმენტის პირობებში სისტემაზე კონტროლის გაძლიერების შესაძლებლობას ქმნის. გარდა ამისა, შესაბამისი საფუძველი მომზადდა სასჯელაღსრულების სისტემის მართვის თანამედროვე მოდელზე გადასასვლელად და ციხეების მართვის დეცენტრალიზაციისთვის.

მინისტრის თქმით, აღნიშნული რეფორმებს შედეგად, უწყების თანამშ-

რომლებმა შეძლეს, რომ პენიტენციური დეპარტამენტი სასჯელაღსრულების სამინისტროს დაექვემდებარა; გაუმჯობესდა პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა და ყოფის პირობები; სასჯელაღსრულების დანესებულებები რისკების დონეთა მიხედვით დაიყოფი და მსჯავრდებულები თუ ბრალდებულები შესაბამისად გადაინაწილა; პირველადი სამედიცინო დახმარება ამჟამად პენიტენციურ დანესებულებებში ყველა მყოფისთვისაა ხელმისაწვდომი; დამტკიცდა საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებული პენიტენციური ჯანდაცვის ახალი მაღალი სტანდარტი; მკვეთრად შემცირდა ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების ოდენობა; C-პეპატივის პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგი გაიარა 11 ათასმა მსჯავრდებულმა, რომელთაგან 500 კაცი პროგრამაში ჩაერთო, რის შედეგად მათგან 90 პროცენტი დაავადებისგან სრულად განიკურნა; დაინერგა კვების ახალი სტანდარტი; გაიზარდა პაემნების რაოდენობა და გაფართოვდა მნახველთა წრე; სახალხო დამცველის აპარატს მიენიჭა პენიტენციურ დანესებულებებში ფოტოგადაღების უფლება; ამოქმედდა სრულიად ახალი ტიპის თავისუფლების შეზღუდვის დანესებულება; დასაქმდა 380 პირობით მსჯავრდებულნი; დაინერგა არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის მოხდის ახალი ფორმა - შინაპატიმრობა ელექტრონული მონიტორინგის საშუალებით და სხვ.

ასევე მინდა გითხრათ, რომ ამჟამად მზადდება მინისტრის ბრძანებულების პროექტი, რომელიც მსჯავრდებულებს პენიტენციური დანესებულებების ტერიტორიების გარეთ მუშაობის საშუალებასა და შესაბამისი ანაზღაურების მიღების საშუალებას მისცემს. ასევე მუშავდება მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მსჯავრდებულებს შესაძლებლობა ექნებათ გაყიდონ თავისი შექმნილი ნივთები და მიიღონ დადგენილი საფასური, - თქვა დასასრულ ბატონმა კახა პაპიაშვილმა.

ანგარიშის წარდგენის დასასრულ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, სასჯელაღსრულების სამსახურის, მათ შორის, სასწრაფო ცენტრის, სამედიცინო, პენიტენციური და სხვა დეპარტამენტების წარმომადგენლებმა განუულ სამუშაოსა და მიღწეულ შედეგებზე ილაპარაკეს.

ოთარ ტურაბალიძე

საბანკო სექტორი

ბოლო თვეების განმავლობაში საქართველოს საფინანსო სფეროში განსაკუთრებულ ვნებათაღელვას რამდენიმე საკითხი იწვევს, მათ შორის, უწინარესად, ლარის კურსის ვარდნა, საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ეროვნული ბანკის დაქვემდებარებიდან გამოყვანა, რეფინანსირების მოცულობა და სხვ.

ლარის გაუფასურების საგარეო მიზეზებს თავი რომ დავანებოთ, რომელთა შორის უმთავრესი დოლარის მიმართ მსოფლიო ვალუტების კურსის კლება, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების გარკვეული დეფიციტი, უცხოეთიდან კერძო ფულადი გზავნილების მოცულობის საგრძობი შემცირება, უკრაინაში განვითარებული მოვლენები და კიდევ რამდენიმე სხვაა, ექსპერტების კრიტიკის საგანი ეროვნული ბანკის მიერ ბოლო თითქმის ერთი წლის მანძილზე გატარებული არათანმიმდევრული პოლიტიკაა, რამაც დიდად განაპირობა ეროვნული ვალუტის დევალაცია. მრავალი სპეციალისტის აზრით, ლარის გაუფასურებაზე განსაკუთრებით ცუდად ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების სესხის მოცულობის მატება მოქმედებს, რომელიც ბოლოს, სექტემბრის მეორე ნახევარში, ერთბაშად 22 პროცენტით (212 მილიონი ლარით) გაიზარდა. ამის მიზეზად, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა კომერციული ბანკების ლიკვიდურობის გაძლიერებას ახსენებს, თუმცა სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს მისი მთავარი საზრუნავი არ არის. მითუმეტეს, რომ ამ დროს, გარკვეულწილად, მომხმარებელთა უფლებებიც ირღვევა. აღნიშნულთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი ვახტანგ ქარაია აღნიშნავს, რომ კომერციული ბანკები თავიანთ ლიკვიდურობას არა ეროვნული ბანკიდან აღებული სესხებით, არამედ ანაზღაურებით უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთების დაწესებით უნდა უზრუნველყოფდნენ. ამის შედეგად კომპანებზე და მეანაზღაურებზე იხიერებდნენ და არა მხოლოდ ბანკები, როგორც ეს ამჟამად ხდება. მეტიც: ასეთი მოქმედებით ეროვნული ბანკი თავის ერთ-ერთ

ზედამხედველობის თაიისუფალი ასპარეზი

პირდაპირ მოვალეობასაც - ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას ეწინააღმდეგება. ეროვნული ბანკის ეს და კიდევ ბევრი სხვა ქმედება ხშირად ერთგვარი პოლიტიკური მოსაზრებებითაა გამოწვეული, რომელთა გარჩევა არ გახლავთ წინამდებარე წერილის მიზანი. თუმცა კი უნდა ითქვას, რომ სწორედ მსგავსი ნაბიჯები და კიდევ მთელი რიგი სხვა გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ დღის წესრიგში საფინანსო ზედამხედველობის სამსახურის ეროვნული ბანკის დაქვემდებარებიდან გამოყვანის საკითხი დადგა, რაც, ცოტა ხნის წინათ განხორციელდა კიდევ. ამის მთავარი მიზანი საფინანსო ზედამხედველობის ჯანსაღი, აპოლიტიკური ორგანოს შექმნა გახლავთ, რომლის უპირველესი საზრუნავი საბანკო სფეროს ყველასათვის სარგებლის მომტანი მოღვაწეობის ხელშეწყობა და ლარის კურსის სტაბილიზებაზე ზრუნვაა.

საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს შვიდკა-



ციანი საბჭოს თავმჯდომარეა ირაკლი კოვზანაძე, მის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან ასევე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და სეპ-ის საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

ეროვნული ბანკის დაქვემდებარებიდან საფინანსო ზედამხედველობის სამსახურის გამოყვანის ინიციატივის, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის თამაზ მეჭიაურის აზრით, ბოლო დრომდე არსებული სისტემა კონტროლზე უზრუნველყოფის ეს უმნიშვნელოვანესი ბერკეტი ერთ ხელში იყო მოქცეული, რომელსაც პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ. ამდენად, საჭირო გახდა სამამულო საბანკო სფეროსთვის ახალი, თუმცა კი მონინავე ქვეყნებში დიდი ხნის მანძილზე აპრობირებული, ჩვენს რეალობას მისადაგებული სისტემის შემოღება. საამისოდ კი საჭირო გახდა „ეროვნული ბანკის შესახებ“ და კიდევ თორმეტ სხვა კანონში სათანადო ცვლილებების შეტანა, რის შედეგად საფინანსო ზედამხედველობის სამსახური სეპ-ის დაქვემდებარებიდან გამოვიდა. ზოგადად თუ ვიტყვით, ახალი სტრუქტურის ფუნქციები და მიზნები არსებობდა, უწინდელი დარჩა, კერძოდ, საფინანსო სექტორზე ზედამხედველობა, ბანკების საკრედიტო საქმიანობის რეგულირება, საგადასახადო სისტემის ოპერატორისა და საგადასახადო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრირება და ზედამხედველობა, კომპანებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დანესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, ფულადი გზავნილების განმასხვრთველებელი პირებისა და ვალუტის გადამცემელი პუნქტების, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის კონტროლი.

ეროვნული ბანკის დაქვემდებარებიდან გამოყვანილი საბანკო ზედამხედველობის სტრუქტურის საქმიანობა სეპ-იდან სააგენტოზე სათანადო ფუნქციების გადაბარებისა და მისი სრულფასოვნად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შემდეგ სრულფასოვანი მოღვაწეობა კანონით გათვალისწინებული უახლოეს დროში დაიწყო.

ენიო ალექსანდრიძე

შპშმ მერამდენე დღეა რუსეთის ავიაცია ბომბავს სირიის ტერიტორიაზე გაბრუნებულ ტერორისტთა ბანაკებს, განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც განლაგებულია საბრძოლო ტექნიკა და ტყვია-წამალი. შეტევა სორციელდება როგორც დღე, ისე ღამე, შესაბამისი წარმატებით, რის შესახებაც მსოფლიოს საზოგადოებას ამცნობს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი. რუსული სამხედრო-საჰაერო შეტევით უზომოდ კმაყოფილია სირიის ხელისუფლება და პრეზიდენტი ბაშარ ასადი - სირიაში რუსეთის შეიარაღებული ძალების მიმწვევი.

კმაყოფილებას გამოთქვამს ერაყის ხელისუფლებაც, რომელიც წინააღმდეგი არ არის რუსეთის საჰაერო ძალების ისეთივე მოქმედების, როგორც მეზობელ სირიაში ხდება. რუსეთის სამხედრო მოქმედებას მხარს უჭერს ირანი და იორდანიაში მოქმედი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია „ჰესბოლა“, რამდენიმე სახელმწიფო და პოლიტიკური ორგანიზაცია.

რუსეთის მოქმედებას ეწინააღმდეგება აშშ და ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ შექმნილი კოალიცია, რომლის რიგებში ათეულობით სახელმწიფოა გაერთიანებული - აშშ-ის მეთაურობით.

„ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ „მებრძოლი“ კოალიცია ერთი წლის წინათ შეიქმნა, მაგრამ რაიმე საგრძნობ შედეგს ვერ მიაღწია. ფაქტი ჯიუტია - კოალიციის მიერ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიების დაბომბვა არათუ შეაჩერა ამ სახელმწიფოს სამხედრო წინსვლა, არამედ პირიქით გააფართოვა.

ტერორისტები ტერიტორიას ტერიტორიაზე იპყრობენ როგორც სირიაში, ისე ერაყში. ბრძოლები სირიის დედაქალაქ დამასკოს შემოგარენში მიმდინარეობს. შეტევა ერაყის დედაქალაქ ბაღდადზეც.

„ისლამური სახელმწიფოს“ ამბიციური გეგმები შორსმომავალია, ამასთანავე, რეალური და არა აბსტრაქტული. მიზანი ამ „სახელმწიფოსი“ არის მეზობელი სახელმწიფოების დაპყრობა, შემდეგ მეზობლის მეზობლებზე საკუთარი გავლენის გაფართოება და დამორჩილება.

„ისლამური სახელმწიფოს“ ამბიციური გეგმების განხორციელებისთვის გამოყენებულია უსასტიკესი ზომები, ანუ „დამნაშავეთა“ თავების მოკვება; ქალთა მასობრივი გაუპატიურება; კაცობრიობის მიერ შექმნილი უნიკალური ისტორიული ძეგლების ნგრევა და ნანგრევებით ვაჭრობა; მრავალი არაპუმანური მეთოდის გამოყენება, რაც მიუღებელია.

„ისლამური სახელმწიფო“ ყველაფერ ამას ვიდეოფორზე იღებს, ამონტაჟებს და ეთერში უშვებს. მიზანი - ყველას დაშინება და ისეთი ვითარების შექმნა, რომ ქვეყანაში შეჭრის წინ მოსახლეობას შიშის კანკალი შეჭრის და ნაცვლად წინააღმდეგობის განეცისა, უბრძოლველად დანებდეს.

„ისლამური სახელმწიფო“, ხშირ შემთხვევაში პირდაპირი აგრესიის გამოყენების ნაცვლად, „ციხე შიგნიდან ტყდება“-ს პრაქტიკას იყენებს, ანუ ნიშანდობულ ქვეყანაში იატაკქვეშ არსებული ტერორისტული ორგანიზაციის ამოქმედებას, „ისლამური სახელმწიფოს“ სამხედრო ძალებში ნაბრძოლი ტერორისტების სამშობლოში კატაპულტირებას და სასურველ დროს მათი ქვეყნის შიდა პროცესებში ჩართვას.

„ისლამური სახელმწიფო“ ემუქრება არა მარტო სირია-ერაყის მეზობელ ქვეყნებს, არამედ არაპირდაპირ მეზობლებსაც, მათ შორის რუსეთსა და კავკასიას. რუსეთის სპეცსამსახურების ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში 2500-ზე მეტი რუსეთის მოქალაქე იბრძვის, მათ გარდა იქ ცენტრალური აზიისა და კავკასიის „ბოვეიკებიც“ არიან. თვით „ისლამური სახელმწიფოს“ განცხადებით, ამ „ქვეყნის არმიას“ 50000-ზე მეტი ევროპელი, აზიელი, აფრიკელი, სხვა კონტინენტის „ჯიჰადისტებიც“ არიან.

არც საქართველო ჩამორჩება „ჯიჰადისტთა“ ხორუმს. თავისი 200-მდე მოქალაქის წყალობით, მან საკმაოდ „პოპულარობა“ მოიპოვა „ისლამური სახელმწიფოში“, რაც მთლად დასამშვიდებელი არ უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობისთვის.

საქართველოს „პოპულარობა“ მარტო იქ მებრძოლთა მამაცობას არ ეყრდნობა. მას სხვა საფუძველი აქვს - უფრო ღრმა

და დასაფიქრებელი. ტერორიზმთან „თამაში“ ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს დაიწყო. რუსეთის აგრესიული ქმედებების საპირისპიროდ, საქართველოს ხელისუფლება ჩვენ „მოჯაჰედებს“ და მათთან ერთად არაბ ტერორისტებს ჩაეხუტა. მთავრობის სურვილი პრიმიტიული იყო - რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი ჩვენ „ბოვეიკებისთვის“ (დუდაევის მეთაურობით) მხარის დაჭერა. როგორც ჩანს, მაშინდელ ხელისუფალთ სჯეროდათ დუდაევის გამარჯვების და რუსეთის დაშლის, აქედან გამომდინარე, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების.

ჩვენებთან ურთიერთობებს კოორდინაციას უწევდა უშიშროების საბჭოს მაშინდელი მდივანი საჯაია, რომელიც არაერთხელ იმყოფებოდა გროზნოში. საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელმაც რუსეთ-ჩვენებთან ომის დროს, ფართოდ გაულოკარი ჩვენ ლტოლვილებს - ქალებს, მოხუცებს, ბავშვებს, მაგრამ მარტო მათ? ამ კატეგორიას მოჰყვნენ „ბოვეიკებიც“, რომ-

ლების შესაშური დაინტერესება ჩვენ „ბოვეიკებით“ და არა მარტო მათით, არამედ სხვებით. ამერიკელი მკვლევარი და ექსპერტი ჯატრასი თავის წიგნში ყოველგვარი რევერანსის გარეშე წერს ამ „ინტერესზე“, იმაზეც, თუ რამდენი ფარული შეკრება გაიმართა თბილისში, რომელშიც ჩვენებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციის, მათ შორის „ალ-ქაიდას“ წარმომადგენლები.

ვინმე დაიჯერებს, რომ ეს ღონისძიებები აშშ-ის საელჩოს გვერდის ავლით ტარდებოდა? ჯატრასი გვარებსაც ასახელებს, რომლებიც ორგანიზებას უკეთებდნენ ღონისძიებებს, მათ შორის მაშინდელი შსს მაღალჩინოსნის ლორთქიფანიძის გვარიც ფიგურირებს. ასე, რომ საქართველოს გარკვეული „დამსახურება“ მიუძღვის სირიაში მებრძოლი ტერორისტების წინაშე, მაგრამ უშველის თუ არა ეს მას სადღეისოდ ან სახვალად, ძნელი სათქმელია. რუსეთი ბომბავს „ისლამურ სახელმწიფოს“ იმის შიშით, რომ იქ ექმომარი მისი მო-

რუსეთის სამხედრო ჩარევა და „ისლამური სახელმწიფოს“ დაბომბვა, ვინაიდან ხელს შეუწყობს ურთულეს პრობლემის მოგვარებას. მაგრამ არა!

რუსეთის მიერ ტერორისტების დაბომბვა ნიშნავს ბაშარ ასადის გადარჩენას, თვით რუსეთის პოზიციების განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში. ეს არის სწორედ ის, რაც აიძულა რუსეთს აშშ-ს და ნატოს წევრ სახელმწიფოებს დაგმონ რუსეთის მიერ „ისლამური სახელმწიფოს“ დაბომბვა, აქაოდა მას მშვიდობიანი მოსახლეობისა და ზომიერი ისლამისტი მებრძოლების მსხვერპლი ახლათ თანო.

ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ ნატო გმობს რუსეთის საჰაერო თავდასხმებს, ვინაიდან ისინი ვეც ვითარების გაუარესებას და ა.შ.

ნეგატიური გამოხვეობა აქვს თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანსაც, რომელიც გმობს რუსეთის საჰაერო თავდასხმებს და რუსული თვითმფრინავების მიერ თურქეთის საჰაერო საზღვრის 2-ჯერ დარღვევას.

მკვახე განცხადება გააკეთა საუდის არაბეთის წარმომადგენელმა გაეროს მაღალი ტრიბუნლიდან, რომელმაც ლამის უბრძანა რუსეთს, შეწყვიტოს „ისლამური სახელმწიფოს“ ტერიტორიების დაბომბვა.

გავსხნათ ფრჩხილები და ვთქვათ თურქეთის, საუდის არაბეთის, ყატარის, აშშ-ის, ნატოს გულისნადების შესახებ. თურქეთი, რომელიც ვითომ იბრძვის „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ, სინამდვილეში თანამშრომლობს მასთან, ყიდულობს რა მისგან 20 აშშ დოლარად (ერთ ბარელში) ნავთობს. თურქეთის სურვილია, ბაშარ ასადის დამხობა და რეგიონში პოზიციების განმტკიცება.

ანალოგიური პოზიცია აქვს საუდის არაბეთსაც, რომელიც პირველობისთვის იბრძვის. საუდის არაბეთი, ყატართან ერთად, ისაა, ვინც მრავალმხრივ მხარდაჭერას უწევს „ისლამურ სახელმწიფოს“. გარდა ამისა, ბაშარ ასადის დამხობით, მას სურს რეგიონიდან ფეხი ამოაკვეთოს ირანს - ბაშარ ასადის მოკავშირესა და თანამებრძოლს, ისევე, როგორც „ჰესბოლას“.

აშშ-ის სურვილია, ახლო აღმოსავლეთში მუდმივი ქაოსის შექმნა და მღვრიე წყალში თევზის ჭერა. ამ პოლიტიკას მისდევს ის 60 წლის განმავლობაში. აშშ-ის ადმინისტრაცია, რომელიც ოცნებობს ბაშარ ასადის დამხობაზე, სულაც არ ფიქრობს, რა იქნება შემდეგ. თვით ამერიკელი ექსპერტების აზრით, ბაშარ ასადის ჩამოგდება ისეთივე არეულობა შეიქმნება სირიაში, როგორც ლიბიაშია.

რაც შეეხება რუსეთს, რომელსაც სამხედრო ბაზა აქვს სირიის ტარტუსში, იბრძვის ასადის შესანარჩუნებლად, ვინაიდან მასთან ლაპარაკი გაცილებით იოლია, ვიდრე ასადის მოწინააღმდეგე ბანაკის (ბანაკების) წარმომადგენლებთან. სირიაში პოზიციების დაკარგვის მისთვის ნიშნავს ახლო აღმოსავლეთში პოზიციების დაკარგვას.

სირიაში რუსეთის მოქმედებამ ისეთი ძალა გააჩინა, რომელმაც გვერდზე გასწია არა მარტო აშშ, ნატო და ე.წ. კოალიცია, არამედ საუდის არაბეთი, თურქეთი, ისრაელი, არაბული საამიროები. მან მსოფლიოს დაანახა, თუ ვინ არის ანგარიშგაწიევი ძალა ახლო აღმოსავლეთში.

„ისლამური სახელმწიფოს“ დაბომბვამ, რუსეთი მეორეხარისხოვანი პოზიციებიდან მოწინავე პოზიციებზე გადაიყვანა, რასაც ირანის, ერაყის, თვით სირიის ხელისუფლებისა და ჩინეთის გარდა, ტაშის კვრითა და ოვაციებით არავინ ხვდება. გაუძლებს თუ არა რუსეთი დასავლურ ზეწოლას, მალე გამოჩნდება.

აი, რას წერს ცნობილი ამერიკელი ანალიტიკოსი ფარიდ ზაქარია გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“: „გლადიმერ პუტინი ასე მიზანმიმართულად იმიტომ კი არ იქცევა, რომ ის ობამაზე გულადია, არამედ იმიტომ, რომ მას უფრო მკაფიო პოზიცია აქვს. პუტინს ჰყავს მოკავშირე - ასადის ხელი-სუფლება. მას ჰყავს მტრები, ამ ხელისუფლების ოპონენტები. ის მხარს უჭერს თავის მოკავშირეს და იბრძვის მტრების წინააღმდეგ. ამ ფონზე ვაშინგტონი და დასავლეთი დაიბნენ - ვის წინააღმდეგ გამოდის აშშ ამ ბრძოლაში?“



ფარიდ ზაქარია, ანალიტიკოსი.

ადგილის დაპყრობა ახლო აღმოსავლეთში?



ლებიც პანკისში დასვენება-რეაბილიტაციის შემდეგ, ისევ უბრუნდებოდნენ ჩვენთვის ომის „თეატრს“.

მკითხველისთვის ცნობილია გელაევის გვარიც, რომელიც პანკისში იყო დაბანაკებული თავისი „ბოვეიკებით“. ერთ მშვენიერ დღეს, შევარდნაძემ გადანაცვლა მათი სოხუმის ფრონტზე გამოყენება და სამთავრობო ესკორტის დახმარებით მოახერხა მისი პანკისიდან კოდორში გადაყვანა. დღესაც ჩამსმის ქართველ ჟურნალისტთა „პატრიოტული“ ხმები, ეთერში გაჟღერებული, თუ როგორ იღებენ გელაევის „ბოვეიკები“ სოხუმს (ცხადია, ჩვენთვის). ვერ აიღეს. უფრო მეტიც, გელაევი დაჭრეს, ხოლო მისი „ბოვეიკები“ გაანადგურეს. გელაევი თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიღო მკურნალობას. პანკისი გადაიქცა ახლო აღმოსავლეთელი და არა მისი მოკავშირეების გულმსყრომის რუსეთის სირიაში მოქმედების დროს?

ღია და დახურული პოლიტიკა. ღიას მიეკუთვნება აშშ-ისა და მის მიერ შექმნილი კოალიციის საჰაერო იერიშები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. დასურულს - „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ყასიდ საჰაერო თავდასხმებს, „ისლამური სახელმწიფოსთან“ იატაკქვეშა კავშირებს, ამ „სახელმწიფოსთვის“ სრულ მხარდაჭერას ბაშარ ასადის დასამხობად. აშშ ფარულად ეხმარება „ისლამურ სახელმწიფოს“, ხოლო ღიად - ე.წ. ზომიერ ისლამურ ძალებს, რომლებსაც აშშ-ის სპეცსამსახურები წვრთნიან თურქეთის ტერიტორიაზე, აიარაღებენ და ბაშარ ასადის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში რთავენ.

აშშ-ის ორმაგი სტანდარტები თავისთავად გამოამხურა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გადადგმულმა რუსეთის კატეგორიულმა ნაბიჯმა. ერთი შეხედვით, აშშ-ს, ნატოს და სხვებს უნდა ან ყობდეთ

ქალაქები უკან არ დაბრუნდნენ. რუსეთის პრემიერ-მინისტრ მედვედევის განცხადებით - სჯობს მათთან ქვეყნის ფარგლებს გარეთ ბრძოლა, ვიდრე ქვეყნის შიგნით. ამით მედვედევი იმეორებს აშშ-ის პოზიციას, რომელიც რახანია უმტკიცებს მსოფლიოს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ იბრძვის, საკუთარი საზღვრებიდან შორს, რათა შინ ბრძოლა არ მოუწიოს.

ასე, რომ სირიაში საჰაერო თავდასხმების განხორციელება ზუსტად იმდავარი ლოგიკითაა განმტკიცებული, როგორც აშშ-ის აგრესია ერაყ-ავღანეთში და იმავე სირიაში. მაშ, რა იწვევს აშშ-ის და მისი მოკავშირეების გულმსყრომის რუსეთის სირიაში მოქმედების დროს?

ღია და დახურული პოლიტიკა. ღიას მიეკუთვნება აშშ-ისა და მის მიერ შექმნილი კოალიციის საჰაერო იერიშები „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ. დასურულს - „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ყასიდ საჰაერო თავდასხმებს, „ისლამური სახელმწიფოსთან“ იატაკქვეშა კავშირებს, ამ „სახელმწიფოსთვის“ სრულ მხარდაჭერას ბაშარ ასადის დასამხობად. აშშ ფარულად ეხმარება „ისლამურ სახელმწიფოს“, ხოლო ღიად - ე.წ. ზომიერ ისლამურ ძალებს, რომლებსაც აშშ-ის სპეცსამსახურები წვრთნიან თურქეთის ტერიტორიაზე, აიარაღებენ და ბაშარ ასადის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში რთავენ.

აშშ-ის ორმაგი სტანდარტები თავისთავად გამოამხურა „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ გადადგმულმა რუსეთის კატეგორიულმა ნაბიჯმა. ერთი შეხედვით, აშშ-ს, ნატოს და სხვებს უნდა ან ყობდეთ

ერთგულთა



მეუღლეები – ვლადიმერ სმირნოვი და ნინა სინარულიძე-სმირნოვა

გვასსოვდას დიდი სამაგულო!

ოცდაშვიდი მილიონი საბჭოთა მოქალაქე, მათ შორის სამასი ათასი ქართველი შეენიერა ფაშიზმზე გამარჯვებას.

კარგად მახსოვს და არცროდის დამავინწყდება, როცა ოჯახში გირი ბიჭების დაღუპვის შესახებ ლებულობდნენ შეტყობინებას, ჩემი თანასოფლელები როგორ იკანრავდნენ სახეებს და თავში იცემდნენ ხელს... მარტო ჩვენს პატარა კუთხეში თერთმეტი ოჯახიდან თერთმეტი მამაკაცი გაინვიცა ჯარში. თერთმეტიდან სახლში დაბრუნდა სამი! მათ შორის ერთი ცალი ფეხით და ერთიც – ცალი ხელით.

საზგანსით მიწა გავიფიქროვ: შვიდასი ათასი საბჭოთა მოქალაქე იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ, იმთავთ სამასი ათასი ვერ დაბრუნდა შინ! განა შინილება ირმა დავიფიქროვ მათი გმირობა და დიდი წვლილი ფაშიზმზე გამარჯვებაში?

ცხონებული მამაჩემი, როცა დაჯდებოდა მეგობრებთან, ლამის მთელი ცხოვრება ნალვლიან სიმღერას წამოიწყებდა: „შინმოუსვლელი, სადა ხარ“... ან კიდევ – „სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესო“...

მაშინ მე ამ სიტყვების შინაარსი არ მესმოდა, მაგრამ... დღეს, როცა ვაცნობიერებ თურმე მდგომარეობაში იღუპებოდნენ ჩვენი მეზობლები, საქართველოს ღირსეული შვილები, მაყრუოლებს და ტანში მზარავს იმათი გახსენება.

გირები ხშირად ცეცხლის ალში იწვოდნენ, მტრის ამბრაზურას ეფარებოდნენ, ჰაერში იფერფლებოდნენ... მათი სამარის გამთხრელიც კი არავინ იყო!

სამარე – ეს ხომ დიდი ბედნიერებაა ომში... არავინ იცის, რამდენს ხვდა წილად ასეთი ბედნიერება! არც უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ზუსტი რაოდენობა იცის ვინმემ.

სამწუხაროდ, სიტყვები არ მყოფნის, გამოვთქვა ჩემი გულსტკივლი ომის ვეტერანების მიმართ უყურადღებობის გამო. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა საღად მოაზროვნე ალა-

მიანი არა მარტო ცხრა მაისს გაიხსენებს დიდი სამამულო ომის ვეტერანებს და შინმოუსვლელებს, არამედ თითქმის ყოველ დღეს! ომის გმირებმა ხომ ჩვენ სიცოცხლე გვაჩუქეს!

დღეს არც ერთი გირის დედა ან მეუღლე ჩემი თანასოფლელებიდან ცოცხლები აღარ არიან, მე კი არა და არ შემიძლია დავივიწყო იმათი გლოვის ხარი, რომელიც ზეცას სწვებოდა. ისიც კარგად მახსოვს, ერთი სიმპათიური ქალბატონი როგორ შეირყა ჭკუიდან, როცა შეიტყო მეუღლის დაღუპვის ამბავი. საწყალი ქალი საგიჟეთში გარდაიცვალა! მას არასრულწლოვანი გოგონა დარჩა. და განა მარტო ის? – ბევრი ობოლი დარჩა დაღუპულთა ოჯახებს. ჩვენდა სამწუხაროდ, არ მესმის ხშირად რატომ ვართ ასეთი უმადურები, რატომ ვერ ვაცნობიერებთ იმას, თუ ვინ მოუტანა მშვიდობა და ბედნიერება მომავალ თაობებს.

მე მაინც მჯერა, რომ ხვალ თუ არა ზეგ დიბადება ის ქართველი, რომელიც ჯეროვნად შეისწავლის მეორე მსოფლიო ომის ისტორიას და ამ ომში საქართველოს და ქართველთა გამორჩეულ გმირობას.

ძვირფასო რედაქცია! – უმორჩილესად გთხოვთ, ეს ჩემი გულისტკივლი, ისე როგორც ყველა საღად მოაზროვნე ქართველისა, გამოაქვეყნოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე. მე არ გამოვირცხავ, რომ დღევანდელი საქართველოს პირველი პირები ყოველდღიურად კითხულობენ თქვენს გაზეთს, მაგრამ, ამდენი უყურადღებობის შემყურე, რა ვიცი, კითხულობენ კი?!

იმედი ყველაზე ბოლოს კვდება. მგონია, რომ დღევანდელი ხელისუფლება მეტ ყურადღებას მიაქცევს ომში დაღუპულთა ოჯახებს და გადარჩენილ ვეტერანებს.

ნინა სინარულიძე-სმირნოვა.

დიდი სამამულო ომის მონაწილის, კავკასიის ფრონტის მეზობლის და სამხედრო ძალების ვეტერანის ვლადიმერ სმირნოვის ქვრივი. 89 წლის.

ქართული მართლმადიდებლობა

ქუთაისის ისტორიული შენობები კანონიერ გულგებლად დაგვიბრუნეთ!

ქუთაისში განთავსებულ, ამჟამად ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხულ საუკუნოვან შენობათა შორის 1976 წელს აშენებული „პრესის სახლის“ ისტორიული შენობაცაა. იგი რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის, ქველმოქმედისა და საზოგადო მოღვაწის, მრავალი წლის მანძილზე გაზეთ „ქუთაისის“ მთავარი რედაქტორის გივი მეფისაშვილის და ქუთაისის მაშინდელი ხელმძღვანელების ორგანიზებით, ძირითადად კი გაზეთის სერიოზული შემოსავლების ხარჯზე აშენდა, მაშინ დიდფორმატიანი გაზეთი „ქუთაისი“ ყოველდღიურად დიდი, 35000-იანი ტირაჟით გამოდიოდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების ცნობილი მოვლენების ქარტეზილი, როგორც სხვა ყველას, ქუთაისის „პრესის სახლსაც“ დაატყდა თავს. მისი ნგრევა-იავარყოფა 10 წელია, უმოწყალოდ გრძელდება მავანთა მიერ და ამ წლების განმავლობაში „პრესის სახლის“ შენობაში განადგურდა მილიონიანი ქონება!

„პრესის სახლს“ განსაკუთრებით მძიმე დღე უდგას მას შემდეგ, რაც იგი სუბიექტურ მიზეზთა გამო გადაეცა ქონების მართვის სამინისტროს. დღეს ერთ დიდ სანაგვე ყუთად ქცეულ „პრესის სახლში“ ისე წვიმს, როგორც ღია ცის ქვეშ. შენობაში ისეთი ანტისანიტარიაა, რომ შესაძლოა, იგი ქალაქის ეპიდემიის წყაროდ იქცეს. სახურავიდან წამოსული წყლის ნიაღვრის შედეგად შენობა შეიძლება დაინგრეს კიდევ.

ქუთაისის ინტელიგენციას, ქალაქში მოღვაწე ჟურნალისტებს კარგად ახსოვთ დღეს გასაცოდავებულ მდგომარეობაში მყოფი „პრესის სახლი“ ადრე წლებში როგორ ამშვენებდა აქაურობას. გვასსოვს, როგორ ჩქეფდა მასში ჟურნალისტური ცხოვრება. სწორედ ამ ადამიანებმა მიმდინარე წლის თებერვალში მივემართეთ თხოვნით ქუთაისის მერს ბატონ შოთა მურღულიას, რომ მას სასწრაფოდ მიეღო ზომები „პრესის სახლის“ კვლავ ქუთაისისთვის გადმოსაცემად.

ბატონმა შოთამ, როგორც წერილობით ოპერატიულად გვაცნობა, ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში გაგზავნა წერილი ქუთაისის

„პრესის სახლის“ ქალაქის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე, თუმცა ეკონომიკის სამინისტროდან დღემდე პასუხის ღირსად არ ჩავგვთვალეს.

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბატონი გოგი წულაია ქუთაისში ფუნქციონირებულ შენობათა ბედით დაინტერესდა, განსაკუთრებული აქცენტი კი ქუთაისის „პრესის სახლზე“ გააკეთა. მან ამ შენობის ეკონომიკის სამინისტროდან ქალაქის ბალანსზე დაბრუნების მოთხოვნით „პრესის სახლთან“ ბრიფინგი გამართა.

– „ცენტრალურ ხელისუფლებას მოვუწოდებ: დროზე დათმონ ჩვენი შენობები თუ გვინდა, რომ თვითმმართველობები განვითარდეს და ქვეყანაში დემოკრატია დამკვიდრდეს ტერიტორიული ორგანოების სასიკეთოდ – თქვა გოგი წულაიამ.

როგორც ცნობილია ჟურნალისტმა, ბატონმა ბენია თხილაგამ ამას წინათ ტელეკომპანია „რიონის“ ეთერით თავის საავტორო გადაცემაში



„ღია სტუდია, სამოქალაქო საზოგადოება“ გულსტკივლით თქვა, ეკონომიკისა და სხვა სამინისტროებისთვის „პრესის სახლი“, ასევე სხვა შენობები მხოლოდ ნაგებობებია. აი, ქუთაისისთვის კი ისინი სასიცოცხლო მნიშვნელოვანი ობიექტებია. ამიტომ ქუთაისის ისტორიული შენობები, ბატონებო, მათ კანონიერ მფლობელთ – ქუთათურებს დაუბრუნეთ!

ქვეყნისთვის დასაბრუნებელია!
დალი ბარბაქაძე,
ქ. ქუთაისი

ალიან-ჩალიანი

ბორჯომის მუნიციპალიტეტი მოსახლეობას ეხმარება

ბორჯომის მუნიციპალიტეტი სექტემბრის თვეში განხორციელებულ სოციალურ პროგრამებს აქვეყნებს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, გასული თვის მონაცემებით, მოქალაქეთა დახმარების მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 74 667 ლარი დაფინანსება გასცა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებლის დიმიტრი ვიციანის განცხადებით, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანადგომით დახმარება გაენი 362 ბენეფიციარს.

გამგეობაში დღეისათვის მოქმედებს 16 სოციალური პროგრამა. ეს პროგრამები ითვალისწინებს მოქალაქეებისათვის, როგორც სტაციონარული, ისე მედიკამენტოზური მომსახურების განვას, ასევე 4 და მეტსევილიანი ოჯახების, შშმ პირების, გამოჩენილი ადამიანების, ახალდაქორწინებულების, ახალშობილების, 100 წელს გადაცილებულებისა და დედა-მამით ობოლი ბავშვების დახმარებას.

2015 წლიდან ბორჯომში დიალიზზე მყოფი პაციენტების დახმარების პროგრამაც ამოქმედდა. ადგილობრივი ხელისუფლება ბენეფიციარებს მედიკამენტების შესყიდვაში ყოველთვიურად 50 ლარით ეხმარება. ამასთანავე, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს C ჰემატიით დაავადებულ ადამიანების მიერ სახელმწიფო

პროგრამის სარგებლობისას დარჩენილი თანხის ანაზღაურებას.

გამყოფი ხალხის მიმართ სოფლები ზამთარს გაიფიქრებენ

ბმის შესახებ შერიგებისა და სამოქალაქო თანხსწორების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ცინელაშვილმა განაცხადა.

„წელს სახელმწიფოს დაგეგმვაში აქვს, რომ დაასრულოს ყველა სოფლის გაზიფიცირება, მოსახლეობას სახლში შეუყვანოს გაზი, რაც უზრუნველყოფს. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი შედეგია იქნება ოჯახებისთვის. რა თქმა უნდა, თუკი ეს სადმე ვერ მოესწრება, მთავრობა განიხილავს მოსახლეობის დახმარების ალტერნატიულ შესაძლებლობასაც. ამ ეტაპზე 36 სოფელში დასრულებულია გაზიფიცირება. 16 სოფელში სამუშაოები სრულდება, 8 სოფელში კი ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გეგმირდება, თუმცა გეგმაში არის, რომ ჩვენ ზამთარს გაზიფიცირებული სოფლებით უნდა შევხედეთ“, – განაცხადა ცინელაშვილმა.

მინისტრის მოადგილე ხაზი გაუსვა, რომ არსებული მთავრობის პირობებში, გამყოფი ხალხის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლები ყოველწლიურად შემოს შესაძინად 200-ლარიან ვაუჩერს იღებდნენ.

ინტერპრესი

რედაქციაში წერილი მოვიდა

პარასკევი დღე იყო. საშინლად ცხელოდა. კრწანისის რაიონის გამგეობაში ბლომად მოეყარა თავი ხალხს. ისინი გამგებლის მოადგილეს ნანა მასიურაძეს ელოდებოდნენ. სხვადასხვა პრობლემები ჰქონდათ და დახმარებას ითხოვდნენ. რიგი დავიკავე, გვიან მისული სულ ბოლო აღმოვჩინდი.

ქალბატონი ნანაც მოვიდა. თბილად მოგვესალმა და კაბინეტში შევიდა. ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ მოქალაქეების მიღება დაიწყო. სოციალურად დაუცველი ხალხი დიდი იმედით ელოდებოდა გამგებლის

ზნეკითილი ქალბატონი

მოადგილის კაბინეტიდან თითოეული მოქალაქის გამოსვლას. თითქმის ყველა ეკითხებოდა გამოსვლას: – დაგეგმარა?! პასუხი ასეთი იყო: – ღმერთმა გაახაროს, ძალიან გულისხმიერი და კეთილი ქალია! იმ დღეს ნანამ თორმეტი მოქალაქე მიიღო, ყველა კმაყოფილი გამოვიდა და მათ შორის მეც.

მასთან გასაუბრებამ ერთხელ კიდევ დამარწმუნა,

რომ ის არის კეთილშობილების ნიმუში, რომელსაც განგებამ უხვად მოამადალა: ჭკუა-გონება, ზნეკითილობა, ადამიანების სიყვარული და თანადგომა. სწორედ ნანა მასიურაძეს შეფერის მგოსნის სიტყვები: „ღამაზ ქალს ლამაზი აზრის ტარება აქცევს ღმერთად“.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ზნეკითილი ადამიანები.

ივოლდა პურბლაძე,
ჰედაგოგიის დოქტორი,
ჟურნალისტა ფედერაციის წევრი

შან-პოლ სარტრი რაღაც ძალზე იოლად წამოჰკრავდა ხელს გულსტავ ფლობერს, ნიჭიერ რანტიერად რომ მოიხსენიებდა და მოჰყვებოდა მტკიცებას: მისი მარცხი იმან განაპირობა, რომ პარიზის კომუნას „შიშნარევი უგუნური ბით“ ებრძოდა, ნაცვლად იმისა, რომ ალტაცებით მისალმებოდა, როგორც ეს ახალგაზრდა რემბომ მოიმოქმედო.

მოგვიანებით შეფიქრიანდებოდა: გადავამეტეო. ხოლო ლოთარ ბაიერი რომ ჰკითხოთ: სულაც ჩისში მოქცეულია სარტრი, რადგან ველარ აესხნა, თუ როგორ შეძლო ფლობერმა, მედიდურად რომ უკადრისობდა თანამედროვეობას, შეექმნა „მადამ ბოვარისთანა“ ასპროცენტრიანად თანამედროვე თხზულება.

1947 წელს სარტრი საგანგებოდ ჩაუკვირდებოდა მწერლის მოვალეობასა და დანიშნულებას და ამას მოჰყვებოდა მისი ესეი „რა არის ლიტერატურა?“

ესეი არსებითად მიეძღვნებოდა მწერლის ანგაჟირებულობის თემას და ლოთარ ბაიერი მიიჩნევს: ლიტერატურის გავლენის შესახებ არაერთი წარმოდგენა, რომელიც დღესაც საფუძვლად უდევს მის კრიზისსა და ქრობაზე მსჯელობას, ლიტერატურის სწორედ სარტრისეული კონცეფციიდან გამომდინარეობს. ვინც უნდა ილაპარაკოს ანგაჟირებულობის შესახებ, იგი თუნდა გაუცნობიერებლად იმ ლიტერატურულ დისკუსიას განაგრძობს, რაც სარტრმა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ წამოიწყო და რომელიც შორს გასცდა საფრანგეთის საზღვრებს.

ამ ომის შემდგომ დებატებთან დაბრუნება კი ბაიერს მრავალი აზრით ჰგონია გამართლებული:

ამან შესაძლოა, გავგახსენოს დიდი ხნის წინათ მივიწყებული ანდა დღეს უკვე გაუგებარი ტექსტი, თანამედროვე საზოგადოების მიმართება მისდამი და ამ ტექსტის მიერ დატოვებული კვალი; ამავე დროს, ეს საშუალებას გვაძლევს დღევანდელი გადასახდელიდან გამანძილებულად შევაფასოთ საზოგადოებასა და მის აზროვნებაში მომხდარი ცვლილებანი.

ლოთარ ბაიერი ამდენი ხნის შემდგომ წიგნით – „რა ხდება ლიტერატურა“ – გამოემართა სარტრს და ყურადღებას გაამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ სარტრის ესეის 1950 წელს შესრულებული გერმანული თარგმანი არამარტო ფილოსოფიური თვალსაზრისით აღმოჩნდა გამართავი, არამედ მასში ამ ფილოსოფოსისა და მწერლის საკვანძო ცნებები დაახინჯებულად იყო გადმოცემული, რაც მშვიდი დისკუსიის ნაცვლად გამოიწვევდა გაუგებრობასა და ვნებათაღელვას.

სარტრს ბრალად დასდებდნენ, მას სურს მწერლობის შებოჭვა ქრისტიანულ-ეგზისტენციური თუ კომუნისტური მსოფლმხედველობით, ანუ იმ ძველი თარგმანით ისეთ სარტრს შექმნიდნენ, როგორც იმ ეპოქაში ესაჭიროებოდა და, ბელზებელია პარ იყო, ნებისმიერ მხარეს შეეძლო მისი შეტრიალება.

და ახლა დგებოდა შესაფერისი ჟამი, რათა გერმანელ მკითხველს, 1991 წლის თარგმანის წყალობით, შან-პოლ სარტრი გაეცნო ისეთი, როგორც სინამდვილეში გახლდათ – თავისი მსოფლმხედველობრივი გაორებითაც, ოღონდ იმ სულიერი მონაპოვრითაც, სწორედ მისი სახელით რომ უნდა აღბეჭდილიყო.

ამ გაცნობას გააადვილებდა ლოთარ ბაიერი, რომლის წიგნის მეორე თავიც, სახელწოდებდაც სარტრისეული სათაური რომ არის განმეორებული – „რა არის ლიტერატურა?“ – ხელმისაწვდომი გახდებოდა ჩვენი მკითხველისთვისაც თამარ კოტრიკაძის თარგმანის მეოხებით, ჟურნალის – „აფრა“ – მე-20 ნომერში (2015 წელი) რომ გამოქვეყნდებოდა, გამოცემისა, რომელიც, ნაირა გელაშვილის თაოსნობით, საკმაოდ მნიშვნელოვან კულტურტრეკერულ როლს ასრულებს ქართულ სივრცეში და გვაკავშირებს მსოფლიო სალიტერატურო და ფილოსოფიური პროცესების წარსულსა და თანამედროვეობასთან.

ლოთარ ბაიერის წიგნის მეორე თავის თარგმანი ხელშესახებად აირეკლავს ჟურნალის რანგსა და მნიშვნელობას, მის პათოსსა და მიზანდასახულებას, ერთბაშად მთელ ნომერს რომ ვერც მიმოიხილავ და შეაფასებ, და მის ანალიტიკურ განსჯას, თუნდა ზედაპირულად თვალის გადავლენას, მცირე წიგნის შედგენა მაინც დასჭირდება.

ხოლო ბაიერი აღნიშნავს, რომ მწერლის პასუხისმგებლობის თემამ ოკუპაციის ისტორიული გამოცდილების ფონზე მხოლოდ სარტრისათვის როდი შეიძინა აქტუალობა. ნაცისტურად განწყობილი ნაწერებისათვის გაკრიტიკებული ერთი ავტორის რიტორიკულ შეკითხვას: განა შეიძლება იმისათვის დავისაჯოთ, რაც დავნერეთო, – სარტრი და მისი ჟურნალი კვერს დაუკრავდნენ. კოლაბორატორის შემთხვევა ეჭვს არ იწვევდა: თუკი მის ნაწარმოებებში ის იდეოლოგია ასახულიყო, შემდგომ ისე რომ შეფასდებოდა, როგორც მცდარი და უსამართლო, მას მართლაც უნდა ეგო პასუხი, მაგრამ...

როგორია მწერლის მიმართება უშუალოდ დღევანდელ დღესთან?

როგორ შეიძლება მისი არსის წვდომა და რა მოთხოვნებს უყენებს ის მწერალს?

სარტრის პასუხს: – თუკი მწერალს საშუალება არ აქვს, თავის ეპოქას გაეექცეს, მაშინ რა გაენწყობოდა: უნდა მიეცეთ მას საშუალება, სრულად და მთლიანად ასახოს ის თავის ნაწერებში.

გერმანელი სწავლული შეაფასებდა როგორც მახვილგონიერულად მიგნებულ მშვენიერ ფორმულას, თუმცა ის, იმავდროულად, ერთმნიშვნელოვანი არჩევანისათვის თავის არიდების მარჯვე ხრიკიც გახლდათ.

ჩვენი ჟურნალი, – შემპირდებოდა სარტრი მკითხველს, – მომავალშიც გამოხატავს თავის პოზიციას პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენებთან მიმართებით, მაგრამ ამას პოლიტიკური თვალსაზრისით როდი მოიმოქმედებს, ანუ პოლიტიკურ პარტიად არასოდეს გადაიქცევაო.



შან-პოლ სარტრი

მწერლურ მოპალობად: აპოქისათვის თავშეხილება

და ვრცლად რომ იმსჯელებდა ახალი დროის ანალიტიკური იდეოლოგიის შესახებ, ბოლოს კვლავ ლიტერატურას დაუბრუნდებოდა:

– მსურს შეგახსენოთ, რომ „ანგაჟირებული ლიტერატურის“ ამ თვისებამ, ანუ სახელდობრ ანგაჟირებულობამ თვით ლიტერატურის არსი არ უნდა დაგვავიწყოს. ჩვენ, ერთი მხრივ, ლიტერატურას უნდა ვემსახუროთ იმით, რომ მის ძარღვებს ახალი სისხლი მივანოდოთ, მეორე მხრივ კი – საზოგადოებას, რომელსაც სწორედ ისეთი ლიტერატურა უნდა შეეუქმნათ, მას რომ ესაჭიროება.

თეორიულად ყველაფერი, ასე თუ ისე, რიგზე გახლდათ, მაგრამ ბაიერი გულდასმით რომ გადაავლებდა თვალს სარტრის ჟურნალს, აღმოაჩინდა, რომ ახალ პროზასა და კლასიკურ პოლიტიკურ წერილებს შორის „ანგაჟირებულობის“ საკითხი ერთგვარად ჰაერში გამოკიდებული დარჩებოდა და მას იმთავითვე განხეთქილების ვაშლის როლი ელოდა: „წმინდა ხელოვნების“ მესვეურნი ამ ცნებაში პარტიული მსახურების საშიშროებას დაინახავდნენ, სხვები კი (პირველ რიგში, გათავისუფლების შემდეგ გავლნიან წრეებში მოხვედრილი კომუნისტები) სარტრს ლაჩრობასა და განზე დგომაში დაადანაშაულებდნენ.

თუკი ანგაჟირებულობა გსურთო, – მისწერდა ერთი ბრიყვი ახალგაზრდა, – მაშ კომუნისტური პარტიის რიგებში რატომ არ შემოდისხართ?

ხოლო ერთი დიდი მწერალი, რომელიც ცხოვრებაში არაერთხელ ყოფილიყო ანგაჟირებული და ასევე ხშირად გააწყვიტა ეს კავშირი, თუმცე მაშინვე ავიწყდებოდა თავისი საქციელი, ასე ეტყოდა: ყველაზე ცუდი ხელოვანი ანგაჟირებული ხელოვანია. ამის მაგალითად საბჭოთა მხატვრობა წარმოგიდგენთო.

ერთი გამოცდილი კრიტიკოსი კი შესტირებდა: ლიტერატურის მველელობა გაქვთ განზრახული. თქვენი ჟურნალი უნამუსოდ ქადაგებს ბელეტრისტიკის აბუჩად აგდებასო.

ანგაჟირებული მწერალი ხომ ის იყო, ვინც აცნობიერებდა, რომ წერით მნიშვნელოვან ქმედებას ჩადიოდა: ანუ, სარტრის აზრით, საბურველს ხდიდა სინამდვილეს. საბურველის ახდა კი სახეცვლასაც ნიშნავდა და მხოლოდ იმას ახდობდა საბურველს, რისი შეცვლად გენადა. ამიტომაც ანგაჟირებული მწერალი უარს აცხადებდა განუხორციელებელ ოცნებაზე ადამიანად ყოფნისა და საზოგადოების მიუკერძოებელი, დაუნანვერებელი სურათის შექმნისა.

და ბაიერი ჩაურთავდა: მიუკერძოებლად წერის ოცნება სარტრისათვის იმიტომაც შეუძლებელი, რომ წინააღმდეგება ლიტერატურის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე მისეულ წარმოდგენასო, – ანუ ლიტერატურას, როგორც უკლასო საზოგადოების რეფლექსიურ თვითაქმას. ნიგნის მეშვეობით ამგვარი საზოგადოების წევრები ყოველწუთს შეძლებდნენ არსებითი ვითარების შეფასებას, საკუთარ თავსაც დაინახავდნენ და სიტუაციასაც.

– ერთი სიტყვით, ლიტერატურა თავისი არსით უწყვეტი რეველუციის პროცესში მყოფი საზოგადოების სუბიექტურ აღქმას წარმოადგენს.

გერმანული სწავლული კი მოადევნებს: რეფლექსიური თვითაქმა, უკლასო საზოგადოება, გამუდმებული რევოლუციის მდგომარეობა, და ამ ყოველივეს ცენტრში ლიტერატურა – ეს ალბათ არა მხოლოდ სარტრის, არამედ ომის შემდგომ მწერალთა მთელი ჯგუფის ოცნება გახლდათო.

– წინააღმდეგობიდან რეველუციამდეო, – ჰოი რა ჯავარზე იდგა ალბერ კამიუც, თორემ თავის გაზეთს ასეთ დევიზს ხომ არ წაუშმღვარებდა.

როდესაც ცივი ომი დაიწყებოდა, წინააღმდეგობის მოძრაობა ისტორიის გადაფურცლულ და უკან მოტოვებულ ფურცლებად გადაიქცეოდა და ნანატრი რეველუციაც ბუნდოვან მომავალში გადაინეწვდა, ვისთვისღა უნდა ეწერათ?

სარტრი საამისო პასუხსაც გამოიხატავდა: მართალია დღესდღეობით პირობები არ შესრულებულა, მაგრამ წერით მაინც შეუჩერებელი უნდა ვწეროთო. მეტსაც მოითხოვდა მწერლისაგან:

შენს შემდეგ თუნდაც წარღვნა იყოს! ჩვენ სასრულის ზნეობასა და ხელოვნებას ვქადაგებთო.

და მოიხმობდა ვერკორის თხზულებას „ზღვის დუმილი“, რათა მასზე დაყრდნობით განემარტა, თუ რას გულისხმობდა ეპოქისათვის ანგაჟირებულობა.

1942 წლის მინურულს გამოცემული ეს წიგნი, როგორც ლიტერატურული წინააღმდეგობის ნიმუში, მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა, რადგანაც რეალურად მოახდენდა იმის დემონსტრირებას, თუ როგორ შეიძლება გვერდის ახვევა ნაცისტ ოკუპანტთა მიერ დაწესებული საგამომცემლო შეზღუდვებისათვის.

ხოლო თვითონ მოთხრობა ოკუპაციის პირობებში ყოველგვარი, თუნდა ყოფითი კოლაბორაციის წინააღმდეგ მოწოდებად გახშიანდებოდა.

მაგრამ საფრანგეთის გარეთ კრიტიკოსები ამ თხზულებას შეაფასებდნენ როგორც მეტისმეტად თავშეკავებულს, რადგან მასში ვერ იპოვნინდნენ გერმანელებისადმი მიმართულ წყევლა-კრულვას.

სარტრი არ გაიზიარებდა ამგვარ შეფასებას და შემოგთავაზებდა თავის მტკიცებას, რომ სწორედ შავთეთრ ფერებზე უარის თქმა ანიჭებს ამ მოთხრობას უმძაფრეს შთამბეჭდაობას: წიგნი, რომელიც 1942 წელს გერმანელებს კაციათაობად წარმოაჩინდა, კომიკურად იმოქმედებდა და თავის მიზანს ვერ მიაღწევდაო.

თუმცე... 1942 წლის შემდგომ ვერკორის მოთხრობა მკითხველს დაკარგავდა, რადგანაც იმჟამინდელი დეპორტაციებისა და მძევლების დახოცვის ვითარებაში ის უწყინარი იდილიადა დარჩებოდა.

მისი მოქმედების დროს ჩავევლო. და მაინც, „ზღვის დუმილი“ თავის იმწამიერ დანიშნულებას ხომ შეასრულებდა?!

ბაიერის აზრით, სავესებით გამართლებოდა სარტრის წინასწარჭვრეტა:

– დამარცხებიდან ორი წლის შემდგომ ვერკორის წიგნი ჯერაც ცოცხალი, შიშისმომგვრელი და შთამბეჭდავი იყო. ნახევარი საუკუნის შემდეგ კი ის ველარაგის ააღლევებს. ცუდად ინფორმირებული მკითხველი მას 1939 წლის ომის პერიოდის შესახებ საყვარელ და ერთობ უგერგილო მოთხრობად აღიქვამს. ცხადია, ბანანი ახალი დაკრედილი უფრო გემრიელია: სულიერი ნაყოფიც უმჯობესია ადგილზევე მივირთვათ.

მომავალი თაობებისათვის წერა სარტრს სასაცილოდ ადარ ყოფნიდა, და დაბეჯითებით მიაჩნდა, რომ ვერკორი სწორად მოიქცა, როდესაც იმ მომენტში „ზღვის დუმილი“ დაწერა – ამაზე მეტი მას იმხანად არ მოეთხოვებოდა.

ბაიერი გაიზიარებდა ამ შეხედულებას:

– ის, რაც იმ მწერალმა მაშინ შეძლო, სარტრის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ის აბოლოუტი იყო, რომლის კვალიფიცირებაც მომავალ ეპოქებს არ ძალუძს. მწერალს მომავალი არ აინტერესებს; თუკი მომავალზე ზრუნავს სწავლა, უფროს საკუთარ ეპოქაში გადაეშვას, რომელიც უშუალოდ წინ უძღვის და განაპირობებს კიდევ მომავალს. ამ გავებით, ანგაჟირებულობა, რაკი მომავალზე გავლენას მაინც ვერ ახდენს, თანამედროვეობისათვის თავის შეწირვას გულისხმობს. თუმცა მწერალს თანამედროვეებზე მაინც შეუძლია გავლენა იქონიოს, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ მოქმედებს მისი ნაწარმოებები უშუალოდ მის ეპოქაზე.

* * * ლოთარ ბაიერის ნარკვევი გაცილებით უფრო ღრმა ჩაპირვებას მოითხოვს. მით უმეტეს, შან-პოლ სარტრის ესეი „რა არის ლიტერატურა“?

თუმცე ორიოდვე მოსაზრების წარმოჩენაც ძალდაუტანებლად ცხადყოფს, რომ ამ თვლით გადასახედი გვაქვს ჩვენი ამჟამინდელი ლიტერატურული პროცესიც და კომუნისტური ჟამიანობის სამწერლო მონაპოვარიც... ოღონდ, რასაკვირველია, პირდაპირ და მოურიდებლად უნდა წარმოვსახოთ და არა ასე ჩურჩულით და ქვეტიქსტებით, სარტრი როგორც ამჯობინებდა, რაკილა მასში მაინც ფილისტერი უფრო ჩაბუდებულიყო, ვიდრე ნიც-შეანური სული, რომელიც უფლებობას არ გიტოვებს, გადახსნილი გულითა და შეუპოვრად არ გადაეშვას იმ მხატვრულ-ესთეტიკურ რეალობაში, რომელიც ბევრწილად მოსანერვილებელი გვაქვს, მაგრამ ქაოტური ნამდვილად აღარ არის.

...ისე ნება სარტრი ტყუილუბრალოდ არ ახირებოდა გულსტავ ფლობერს და მარქსიზმით გაბრუნებულსა თუ კომუნისტური იდეოლოგიით შებოჭილს არ შეეხედა პარიზის კომუნისათვის.

მაშინ აღარც ფლობერს გაიმეტებდა. და აღარც ჩურჩულით დასჭირდებოდა მოსაზრებების გაზიარება მკითხველისათვის, რომელსაც თავისი ეპოქის, მის თვალწინ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების სრულფასოვანი მხატვრული გააზრება ურჩევნია ყველაფერს.

როსტომ ჩხიკიძე





სელფი – სუსტების მისწრაფება

მობილური ტელეფონით საკუთარი თავის გადაღება, რასაც „სელფი“ ეწოდება, ახლა დიდად მოდური გატაცებაა დიდებსა თუ პატარებს. არადა, ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ სელფი – საკუთარ თავში ფოტოგრაფირების ნიშანია. საკუთარი თავის ფოტოების გადაღებისადმი მიდრეკილებას მეცნიერები ფსიქიკურ აშლილობათა რიცხვს მიაკუთვნებენ. კაცი, რომელიც საკუთარი ცხოვრების ყოველი წამის დაფიქსირებას და შემდგომ მისი საზოგადოებისთვის წარდგენას სოციალურ ქსელებში ცდილობს, საკუთარ თავს არასაკმარისად სცემს პატივს და ამ გზით თავის დამკვიდრება უნდა.

გაღიქმნი ღამურა!

ზომბირთა ადამიანს, მათ შორის როგორც კარგად მხედველს, ასევე თვალისჩინდაკარგულს, ექოლოკაციის გამოყენებით, ღამურებისა და დელფინების მსგავსად, შეუძლიათ ობიექტის ადგილმდებარეობის დადგენა. ბრიტანეთის ბერის კვლევის ინსტიტუტის მეცნიერების განცხადებით, თვალისჩინდაკარგულ ადამიანთა შორის ამ ფენომენის თაობაზე ადრეც იყო ცნობილი. ახალი გამოკვლევით კი გაირკვა, რომ ობიექტის სწორი ლოკაციისთვის მალალსიხშირიანი სმენა ორივე ყურშია საჭირო.



მეცნიერები აცხადებენ, რომ წლის ბოლომდე წარმოებაში ჩაუშვებენ მობილურ დანართს, რომელიც ყველა მსურველს ექსპერიმენტის ჩატარების შესაძლებლობას საშინაო პირობებში მისცემს, რითაც იმის შემომწმება შეძლებს, აქვს თუ არა სივრცეში ღამურასავით გადაადგილების უნარი.

ღამური ქალები ინყებენ და... აბეპენ

ოსტრალიაში მეცნიერებმა 5312 რეზიუმე და 2656 ვაკანსია გააანალიზეს, რის შედეგად დასკვნა გამოიტანეს, რომ ღამურ ქალებს კარგ შესახედ მამაკაცებზე სამუშაოს შოვნა უფრო მეტად უჭირთ. ექსპერიმენტის დროს „ვაკანსია – რეზიუმე“ თითოეულ წყვილში ერთ რეზიუმეს ფოტოსურათი არ ჰქონდა, მეორეს კი ან შესახედავად მიმზიდველი, ანდა შეუხედავი კანდიდატების ფოტოები ახლდა. კარგი გარეგნობის მამაკაცთა რეზიუმეებს ორჯერ უფრო მეტი გამოხმაურება მოყვა, ვიდრე შეუხედავებისას. იმ მამაკაცებს კი, ვინც რეზიუმეს საკუთარი ფოტო საერთოდ არ დაურთო, გამოხმაურებები ძალიან იშვიათად მოსდიოდათ. რაც შეეხება ქალებს, ამ შემთხვევაში ფოტოს გარეშე რეზიუმეებზე გამოხმაურება უფრო ხშირად მი-



დიოდა ხოლმე, ვიდრე ღამური ქალების სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციაზე. მეცნიერთა გამოანგარიშებით მიმზიდველ მამაკაცებს, ერთი პასუხის მისაღებად, საშუალოდ ხუთი რეზიუმეს გაგზავნა სჭირდებათ, შეუხედავებს კი – თერთმეტის. ღამური ქალების ფოტოიანი რეზიუმე კი პასუხის მიღების შანსებს საგრძობლად ამცირებს.

ის არანაჩინა მამაკაცები...

თურმე, ნუ იტყვით და მამაკაცებს სარკეში ცქერა... ქალებზე მეტად ვვარებიან, აცხადებენ ბრიტანელი მკვლევარები. სოციოლოგიური კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მამაკაცები სარკეში დღე-ღამეში 23-ჯერ იყურებიან, ქალბატონები კი მხოლოდ 16-ჯერ, რა დროსაც ძლიერი სქესის წარმომადგენლები თავს მთლიანად ან სხეულის ცალკეულ ნაწილებს ათვალისწინებენ. ქალები კი იმას აკვირდებიან, თუ როგორ გამოიყურებიან – წესრიგშია თუ არა ტანსაცმელი, მაკიაჟი. გარდა ამისა, ქალბატონები უფრო ხშირად სხეულის იმ ნაწილებს აქცევენ ყურადღებას, რომლებიც მეტად უკმაყოფილოები არიან, მამაკაცები, კი, პირიქით, იმით, რომელიც უფრო მოსწონთ. ყველაზე მეტად მამაკაცებს საკუთარი ხელები მოსწონთ (76 პროცენტს), ფეხები (54 პროცენტს), ღიმილი (49 პროცენტს), თვალები (43 პროცენტს), თმები (38 პროცენტს). ქალებს კი უფრო საკუთარი მკერდი, სახე, ფეხები, დაუნდულები და თმები ადარდებთ.

ზღვის გოჭების არანაჩინა

შვეიცარიაში მოქმედი კანონით, სახლში ზღვის გოჭების მხოლოდ წყველად ყოლა შეიძლება. ამდენად, ერთ-ერთი ზღვის გოჭის სიკვდილის შემთხვევაში, პატრონმა წყვილი უნდა შეიძინოს, მეორეს სიკვდილის შემდეგ – კიდევ ერთი და, ამრიგად, შესაძლოა გაუთავებელ მარყუჟში მოექცეს. ამიტომაც, საზრიანმა გამყიდველებმა ზღვის გოჭების არანაჩინა მოიგონეს – კაცი ცხოველს სტანდარტულ ფასად ყიდულობს, მისი უკან დაბრუნება ნებისმიერ დროს შეუძლია, ოღონდ ნახევარ ფასში.

ჩვენში ყველაზე „სველი“

რატომ გასაკვირიც უნდა იყოს, მზის სისტემაში წყლის ყველაზე დიდი მარაგი... თავად მზეზე ყოფილა! ორთქლის სახით კონცენტრირებული წყლის მოლეკულები მზის ლაქებშია კონცენტრირებული, რომელთა ტემპერატურა 1500 გრადუსით ნაკლებია, ვიდრე მიმდებარე ზონებში. ასევე დიდი ოდენობით წყალს შეიცავს ეგრეთ წოდებული „ტემპერატურული მინიმუმის ოლქები“, რომლებიც ვარსკვლავის ძირში ვიწრო ზოლშია განთავსებული.

ჩვენ ერთ ენაზე ვსაუბრობთ...

ერთი საგულისხმო დაკვირვება ეკუთვნის ფსიქოლოგებს: თურმე, ადამიანები, რომლებიც ერთმანეთისადმი სიმპათიას განიცდიან, ერთნაირად ლაპარაკობენ! გაირკვა, რომ რაც უფრო მეტი თანხვედრაა აზრის გამოთქმისას ახლად გაცნობილ ქალისა და მამაკაცის ლაპარაკში, მით უფრო კარგია მათი ურთიერთობა. თუმცა კი ჯერჯერობით მაინც უწინააღმდეგოა უყვარდება ის, ვინც დაახლოებით მასავით ლაპარაკობს, თუ იგი შემდგომ ცდილობს იმის მეტყველების მანერის მიბაძვას, ვინც მოეწონა.

გაფრთხილება სინფარტიკაზე მსმელებს

წარმოშობით ევროპელი 1200-ზე მეტი ამერიკელის ჩვენათა გაანალიზების შემდეგ, ვერმონტის უნივერსიტეტის (აშშ) მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ ცისფერთვალა ხალხი მუქთვალეებზე უფრო მეტად სწავლობენ ალკოჰოლიკებს. აღმოჩნდა, რომ ალკოჰოლური დამოკიდებულების წარმოშობაზე პასუხისმგებელი გენები და თვალის ფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მკვლევარები გამოსაცდელი ჯგუფების წევრებს ერთმანეთში ურევდნენ, რითაც ალკოჰოლიზმისკენ მიდრეკილების ნიშნების დადგენას ეროვნების, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მახასიათებლებით ცდილობდნენ, მაგრამ ამ ფაქტორებს შორის ურთიერკავშირებს ვერ მიაგნეს.

ვინ დაიკნაპლა „მიაუ“?

მიდემო, რომლებზეც კატები და მათი ოინებია გადაღებული, არა მარტო კარგ გუნებაზე დაყენებას, არამედ შრომისუნარიანობის ამაღლებასაც უწყობს ხელს, მიაჩნიათ ამერიკელ ფსიქოლოგებს. შარშან, „იუთუბის“ ქსელში კატების ორი მილიონი ვიდეო იყო განთავსებული, რომელიც 26 მილიარდჯერ ნახეს! მკვლევარებმა 7 ათასი კაცი გამოკითხეს, რომლებმაც განაცხადეს, რომ ამ ვიდეომასალების ნახვის შემდეგ არა მარტო კარგ გუნებაზე დადგნენ, არამედ ენერჯის მოზღვავებაც იგრძნეს. ექსპერტებმა დასკვნა გამოიტანეს, რომ მაშინაც კი, რო-



დესაც ასეთ ვიდეორგოლებს მოსამსახურეები სამუშაოს დროს ნახულობენ, ეს დამსაქმებლების გულისწყრომას არ უნდა ინვედეს, ვინაიდან ისინი მათ თანამშრომლებს რთული ამოცანების გადაწყვეტაში უწყობენ ხელს.

საოსტრალია ქალაქი

ჩინეთი განსაცვიფრებელი ქვეყანა რომაა, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, მისი დედაქალაქი პეკინი კი ცისქვეშეთის ტემპარტი მარგალიტია. მარტო ტიანანმენის მოედნის ხილვა გააოცებს მნახველს – მსოფლიოში უდიდესი, 60 ფეხურის მოედნისხელა რომაა. ყოველდღიურად აქ სახელმწიფო დროშის აღმართვის საზეიმო რიტუალი ტარდება. მისი მოპირდაპირედ, ოქროს წყლების გარე არხზე შეიდი ხილია გადებული. მინისა და ცინის დინასტიების მმართველობის ხანაში მათგან ყველაზე დიდი იმპერატორის ხიდი იყო, რომელზეც იმპერატორის გარდა ფეხის დადგმის უფლება არც ერთ მოკვდავს არ ჰქონ-



და. ორი გვერდითა იმპერატორის კარის ხიდი იყო, რომლებიც მისი ოჯახის წევრები დადიოდნენ, კიდევ ორი მოხელეთათვის იყო განკუთვნილი, დანარჩენი ორი კი საზოგადოებრივი მოხმარებისა იყო. აკრძალულ ქალაქში (გუგუნში) – ფეოდალური ჩინეთის სასახლეთა უდიდეს კომპლექსში – შიდა არხზე კიდევ ხუთი ხილია გადებული. გუგუნში თითქმის ხუთი საუკუნის მანძილზე მინისა და ცინის იმპერატორების ადგილსამყოფელი იყო. პეკინის სამხრეთ ნაწილში 1420 წელს აგებული არქიტექტურის შედევრია ზეცის ტაძარი. ქალაქის ცენტრიდან სულ 70 კილომეტრში კი ჩინეთის დიდი კედლის ყველაზე ცნობილი უბანი ბადალინია ანუ „ადგილი, საიდანაც ყველა მხარეზეა წვდომა“. დიდებულია ტაიეს რაიონის ბუნებრივი ლანდშაფტი. წყლის ეს დიდი სივრცე სამ ნაწილადაა დაყოფილი. მათგან ერთ-ერთი, ტა ბეიჰაი და მის ირგვლივ პარკი, მნახველთათვის ღიაა. იმპერატორის ეს კუთვნილება ჩინური ბაღის ხელოვნების ტემპარტი მარგალიტია, რომლის ისტორია ათას წელზე მეტს ითვლის. მეორე საგანძურია ცინიუანის პარკი, იმპერატორის საზაფხულო რეზიდენცია, რომელიც 1750 წლიდან მოყოლებული, ყველაზე გრანდიოზულია ჩინეთის საბალოარქიტექტურულ ანსამბლებს შორის. პეკინის საოცრებათა ჩამოთვლა კიდევ მრავლად შეიძლება, თუმცა, მოგეხსენებათ, ბატონებო, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო...

უღირსობა

მე-19 საუკუნეში მსოფლიოში ყველა სიმფონიური ორკესტრი დირიჟორის ხელმძღვანელობით გამოდიოდა. მე-20 საუკუნეში დირიჟორზე უარი თქვა მოსკოვის პირველმა სიმფონიურმა ორკესტრმა და ამ სახით ათი წლის მანძილზე მართავდა კონცერტებს. მოგვიანებით მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და ამჟამად უღირსობად გამოდიან პრადის, ნიუ-იორკის, სიდნეისა და ზოგიერთი სხვა დიდი სიმფონიური ორკესტრები.



სამო

რიბიდან — მოკრძალებული უღლებით



ლბიშვილის დედაქალაქ რიგაში ჩატარდა კადეტ (1997-1999 წლებში დაბადებულნი) და ახალგაზრდა (1995-1996 წ.წ.) სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს 22 წარმომადგენელი (მათ შორის — ორი გოგონა) მონაწილეობდა. ახალგაზრდული ნაკრებების მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ ცინცაძემ ბალტიისპირეთში რჩეული მოჭიდავეები იახლა. ბოლო ორი

წლის განმავლობაში გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება ჩვენებს რჩებოდათ, რასაც რუსები ვერ ურიგდებოდნენ. ამან რიგაშიც იჩინა თავი — მიკერძოებულმა მსაჯობამ თავისი დალი დაასვა შეჯიბრებას. ჩვენებმა მოკრძალებული შედეგი აჩვენეს, რუსებმა კი პირიქით — საბოლოო ჯამში 25 ოქროს, 7 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ქარ-

თველთაგან ერთადერთი ოქროს მედალი 75 კგ წონით კატეგორიაში კადეტთა შორის მოასპარევე ტრისტან მოსახლი შვილმა დაიმსახურა. ფინალური შეხვედრები დათმეს და ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილდნენ: კადეტებში — ჯამბულ ქურდიანი (65 კგ) და ნიკა სიდამონიძე (87 კგ); ახალგაზრდებში — გიორგი მირუაშვილი (48 კგ), გიორგი მეტრეველი (62 კგ) და დავით ოზბეთელაშვილი (100 კგ).

ბრინჯაოს მედლები ერგოთ: კადეტებში — ჯაბა პაპინაშვილს (48 კგ), საბა გრიგალაშვილს (56 კგ), იმედა გოგოლაძესა (81 კგ) და დავით რაზმაძეს (87 კგ); ახალგაზრდებში — ირაკლი გოგიას (82 კგ). გოგონებში მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს ჯილდო ნინო მგელაძემ (52 კგ) მოიპოვა. ევროპის შარშანდელი ჩემპიონი სალომე აბაშიძე (56 კგ) უმედეოდ დარჩა.

ვივი ბაგუა

ჭიდაობა

ბედინაძეს პარსკვლავი გაუხსნეს

აჭარის დედაქალაქში სასპორტო სკოლის წინ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონ დავით ბედინაძის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით ბათუმში დავით ბედინაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა „კლასიკურ“ ჭიდაობაში მსაჯობის შორის. მასში ქართველებთან ერთად სომხები, აზერბაიჯანელები და რუსები მონაწილეობდნენ. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ნუკრი ბენიძე (38 კგ, ბათუმი), გიორგი ჩხიკვაძე (42, სენაკი), დავით ლომიძე (46, გარდაბანი), შანთ ხაჩატრიანი (50, სომხეთი), ირაკლი ძიმისტარაშვილი (54, ოზურგეთი), ლერი აბულაძე (58, ხულო),



მალხაზ ამოიანი (63, სომხეთი), ლუკა ტატურაშვილი (69, ოზურგეთი), ასლან ხუგაევი (75, რუსეთი), არტურ ბაღდასარიანი (85, სომხეთი), საბა ცეცხლაძე (100, ოზურგეთი).

ლაზა დიდიასურბათში: ჭიდაობის მომენტი.

ჩემპიონთა „ბრინჯაო“

ახალგაზრდებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ქართველმა მსოფლიოს ჩემპიონებმა — რამაზ ზოიძემ (66), გელა ბოლქვაძემ (75) და ზვიად პატარიძემ (130) ყაზახურ სემეიში ბოლატ ტურლუსხანოვის მემორიალში იასპარევეს და სამივემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო უფროსთა ტურნირი და საკმაოდ წარმომადგენლობითიც — 12 ქვეყნის ფალანგები მონაწილეობდნენ.

ინტერნეტიდან

ანამ პაველი გაიხსენა

აფსუს, რა დრო იყო, როდესაც მთელი სპორტული და არა მხოლოდ სპორტული სამყარო ორი რუსი სპორტსმენის მელონე ქალის ანა კურნიკოვასა და ჰოკეისტ — პაველ ბურეს რომანის შესახებ საუბრობდა... საუბარი კი არა, ყველა იმას ცდილობდა, ამ რომანიდან რაიმე ახალი სკანდალი გამოედნო, მაგრამ ვაპ დრონი, დრონი...

ამ რამდენიმე დღის წინათ, ანა კურნიკოვა საკმოდ ვრცელი ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ რუსულ ბულვარულ გამოცემას და თავისი საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრების დეტალებზე საუბრის დროს, რასაკვირველია, არც პაველ ბურესთან ხვანცალი, კოტრიალი და სხმარტალი გამორჩენია.

ანა კურნიკოვა ამბობს, რომ თავისი წარსულიდან არაფერს ნანობს და მისთვის პაველიც გამორჩეული ადამიანი იყო. იგი ასევე იხსენებს იმ დღეებს, როდესაც ლამის მთელი მსოფლიოს პაპარაცობა კუდში დასდევდა და მისი ყოველი ნაბიჯი „ყვირული“ მედიისათვის ნამეტნავად საინტერესო იყო. ჩვენ ბოლში...

როსტომ რაჭვალისძე

ჭადრაკი



ნანა ძაბანიძე (მარცხენი) და ელმირა სკრიპჩინაიკო

ფინიშანულ სამი ტურით აღჩა

ერთადერთი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს მონტე კარლოში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის 2015-2016 წლების გათამაშების პირველ რაუნდში. მონაკოში სააპარეზოდ 12-მა მანდილოსანმა მოიყარა თავი და წრიული სისტემით სვედებიან ერთმანეთს. მათ შორისაა ნანა ძაბანიძე, რომელმაც განვლილ რვა ტურში მხოლოდ ერთი პარტია მოიგო, ორი ყაიმით დაასრულა და ხუთი შეხვედრა დათმო. მერვე ტურში ნანამ ევროპის ექსჩემპიონ ელმირა სკრიპჩინაიკოს (საფრანგეთი) აჯობა.

ტურის დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთ)-პია კრამლინგი (შვედეთი) 0.5:0.5, სარასადათ ხადემალშერიპი (ირანი)-ჰოუ იფანი (ჩინეთი) 0:1, ანა მუზიჩუკი (უკრაინა)-ანტონანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) 0.5:0.5, მარია მუზიჩუკი (უკრაინა)-ჰამპი კონერუ (ინდოეთი) 1:0, ნატალია ჟუკოვა (უკრაინა)-ნატალია პოგონინა (რუსეთი) 0.5:0.5.

რვა ტურის შემდეგ: ჰოუ იფანი — 6.5, მ. მუზიჩუკი — 6, კონერუ — 5.5, კრამლინგი, პოგონინა, კოსტენიუკი — 4.5-4.5, სტეფანოვა — 4, ჟუკოვა — 3.5, ა. მუზიჩუკი — 3, სკრიპჩინაიკო — 2.5, ძაბანიძე — 2, ხადემალშერიპი — 1.5 ქულა.

თამაზ პატარაია

კალათბურთი

44 ქულის სხვაობით

სიმპი-30თა 117:73 34:13, 22:16, 24:26, 37:18

სიმე: რაისი (6 ქულა), შვედი (19), ზ. დრაგიჩი (3), აუგუსტინი (8), პატევი (14), კოპონენი (22), მონია (9), ტოდოროვიჩი (9), შელეკეტო (5).

ვითა: ჩლაიძე, ბითაძე, ბერიშვილი (3), ბოქოლიშვილი, რევაზაშვილი, შენგელია (1), ზაქარაძე, კარტერი (15), ჰენრი (16), ანიკინევი (4), ლიპოვოვი (19), ტერნერი (15).


მსაჯები: ე. მოგულკოჩი (თურქეთი), პ. პაშტუსიაკი (პოლონეთი), ო. ლუჩისი (ლატვია). ვითიბი ლიგის პირველობაზე თბილისის „ვითა“ სტუმრად პოდმოსკოვიეს „ხიმის“ შეხვდა. მიმდინარე სეზონში ლეგიონერებით გაძლიერებულ მასპინძლებს ახლად შეკრებილმა სტუმრებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და 44

ქულის სხვაობით დამარცხდნენ — 73:117. საგულისხმოა, რომ „ხიმის“ კალათბურთელებმა ქართველთა კალათში 19 სამქულნიანი (!) ჩააგდეს.



რუსეთიდან დაბრუნებული ვითელები ვარჯიშს თბილისში განაგრძობენ და 18 ოქტომბერს „ნიჟნი ნოვგოროდს“ სპორტის სასახლეში შეხვდებიან.

ლემსო ცინცაძე



დედაინის ზურგზე



ტიმორის ახალი ტალღა ისრაელში. რამდენიმე შიდაპირი შიდაპირი დამიჯიბა 2 კაცი. ათობით და-ბიძრა

ორი თავდასხმა მოხდა რაბანში - ერთ-ერთი მათგანი ავტობუსის გაჩერებასთან. ორი კაცი მოკლეს და სულ ცოტა თვრამეტმა მიიღო ჭრილობა ორი ერთდროული თავდასხმის დროს იერუსალიმის გეულისა და ტალბორტის რაიონებში. ერთი შეტევა მოხდა ავტობუსში, მეორე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებაზე.

ირანის პარლამენტი მიიღო კანონი „მომხრეობის შესახებ“

ირანის პრესის მონაცემებით, ასევე დამტკიცდა კონტროლირებადი მოწინააღმდეგე მხარის მიერ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში. კანონი ავალდებულებს მთავრობას, „შეწყვიტოს ერთობლივი ყოვლისმომცველ მოქმედებათა გეგმის შესრულება და მიიღოს საპასუხო ზომები ირანელი ხალხის უფლებათა აღდგენის შესახებ იმ შემთხვევისთვის, თუ მეორე მხარე დაარღვევს შეთანხმების პირობებს.



დრეკადენი ათასობით კაცი გამოვიდა ანტი-სამშობო მარშზე



საზოგადოებრივი მოძრაობა Pagida-ის პოპულარობა გაიზარდა გერმანიაში მიგრანტების ჯერ უნახავ ნაკადთან ერთად. ჟურნალისტების შეფასებით, მიტინგზე მოვიდა შეიდეიდან ცხრა ათასამდე კაცი. აქციის მონაწილეები აკრიტიკებდნენ კანცლერ ანგელა მერკელს, მას „ევროპის ყველაზე სახიფათო ქალი“ უწოდეს.

იაპონიის ოკინავის ხელისუფლებამ უკან გაიწვია ნავარტა საზღვაო უსაფრთხოების აზიანების გადართმობის დაკავშირებით

ნებართვა ადრე მისცა ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას ოკინავის პრეფექტურის გუბერნატორმა სიროკაძე ნაკაიამამ. მისი მეშვეობით ამ პოსტზე ტაკეის ონაგა, რომელსაც ამერიკული ბაზის გადატანის საკითხზე პრინციპული პოზიცია უკავია, არაერთგზის აცხადებდა, რომ ნაკაიამას მიერ გაცემული ნებართვა „შეცდომითი“ იყო.

ბელარუსის პრეზიდენტი არჩევნები არ შეასრულა

ბელარუსის საერთაშორისო ვალდებულებებს არჩევნების თავისუფალი და სამართლიანობის სასიათთან დაკავშირებით, რაზეც მონაწილე საერთაშორისო მეთვალყურეთა მისიებისა და ერთობის საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშები, - განაცხადეს უნებავში.



აფხაზეთიდან რუსეთის სარკინიგზო ჯარები გაიყვანეს

რომორც სააგენტო „ტასს“ აფხაზეთში წყარო განუცხადა, ბოლო ქვედანაყოფებმა ტერიტორია გუშინ დატოვეს. წყაროს ინფორმაციით, ოკუპირებული აფხაზეთიდან გაყვანილია 500 რუსი სამხედრო და სპეცტექნიკის 50-ზე მეტი ერთეული. მანამდე, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დიმიტრი ბულგაკოვმა განაცხადა, რომ რუსეთი ე.წ. აფხაზეთიდან სარკინიგზო ჯარებს დეკემბერში გაიყვანდა, თუმცა, როგორც „ტასმა“ განმარტა, ჯარებმა ამოცანა დათქმულ ვადამდე ადრე შეასრულეს.




© კუნის ცხოვრება

გულბილიონეჩა ქალა შვილის ოპერაციისთვის ფული არ გაიხევა

ბინების რეკორდების წიგნის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე ძუნწი ადამიანი ამერიკელი მულტიმილიონერი ქალი პენრიეტა გრინია. ამ ქალის სიძუნწესთან მრავალი გასაოცარი ისტორიაა დაკავშირებული. მულტიმილიონერი ქალი არასდროს რთავდა ცხელ წყალს და გათბობას, ყიდა უკვე წაკითხულ გაზეთებს, არ იბანდა ხელებს, არ რეცხავდა, ჭამდა მხოლოდ შვრიის ცივ ფაფას და აყოლებდა ცივ წყალს. შვილის ოპერაციამდე ეკონომია გასწავლია და ამიტომაც ყველაფერი განგრენით და ფხის ამპუტაციით დასრულდა.

პენრიეტა გრინი გინესის წიგნში მოხვდა როგორც მსოფლიოში ყველაზე ძუნწი ადამიანი. ქალი, რომელიც ყოველ წელს რამდენიმე მილიონს შოულობდა, საშინლად ეკონომიური და ძუნწი იყო. ეცვა გაცვეთილი კაბა, რომელსაც არასოდეს რეცხავდა. დათბილულ თეთრულს კი მხოლოდ მაშინ იცვლიდა, როცა იხეოდა, მის სახლში ხელსაბანი საპონიც კი არ იყო, რადგან არასდროს ბანობდა. რთული წარმოსადგენი არ არის, რა არსობა აფრქვევდა მილიონერი და ამას დაუმატეთ ისიც, რომ პირიდან მუდამ ხახვის სუნი ამოსდიოდა, რადგან მუდამ ლეჭავდა, რომ არ გაცივებულიყო და თუ მაინც მოუსდებოდა აფთიაქში წასვლა, პროვიზორის ნათქვამზე, რომ შუშა, რომელშიც წამალი უნდა მოეთავსებინათ, 5 ცენტი ღირს, ყოველთვის ერთნაირად რეაგირებდა - ტოვებდა აფთიაქს და სახლში ბრუნდებოდა საკუთარი შუშის მოსაძიანად.

გრინის უსაშინლესი სიძუნწის აპოტეოზი ნამდვილი ოჯახური ტრაგედიის მიზეზი გახდა. 11 წლის ასაკში მისი შვილი ნედი ციგურებზე სრიალის დროს დაშავდა და მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. იმის მაგივრად, რომ ტკივილებისგან შეძრული ბავშვი დაუყოვნებლივ წაეყვანა კარგ ჰოსპიტალში, პენრიეტამ აქაც გადამწყობა ეკონომია: ჩაცვა ყველაზე ძველი ძონძები, რაც გააჩნდა და ლატაკ-თათვის განკუთვნილ უფასო საავადმყოფოში წაიყვანა შვილი, თუმცა, როცა მივიდნენ, პერსონალმა მასში ქვეყნის უმდიდრესი ქალი ამოიცნო და უარი თქვეს, მიეღოთ ნედი, რომელიც სასწრაფო ოპერაციას საჭიროებდა. უარის შემდეგ ქალმა გადაწყვიტა, სამედიცინო მომსახურებაზე ეკონომია გაეკეთებინა და თვითონ დაინყო შვილის მკურნალობა. შედეგად არ დააყვანა: ბავშვს მალე განგრენა განუვითარდა და ფხის ამპუტაცია გახდა საჭირო. პროფესიონალური ამპუტაციისთვის კი ფული ბავშვის მამამ გადაიხადა, რომელმაც შემთხვევით გაიგო შვილის უბედურების შესახებ. ეს რომ არა, ძნელი წარმოსადგენია, რით დამთავრდებოდა ეს ისტორია. დროული ქირურგიული ჩარევის გარეშე მოხდებოდა სისხლის მონაწილე, რაც აუცილებლად ლეტალური შედეგით დასრულდებოდა.



თუმცა, ამანაც არაფერი ახსნავდა პენრიეტას. პროტესტის გასაწყობებლად ნედი უმწეობის რიგში ჩააყენეს. ის 6 თვის განმავლობაში ელოდა, როდის მოუწევდა რიგი, რომ ნანატრი „ხელოვნური ფხი“ ჰქონოდა. შემდეგ კი მთელი ცხოვრება იავფასიანი პროტესტით, გაჭირვებით მოძრაობდა. უყვარდა თუ არა გრინს საერთოდ ვინმე? კი, მისი ძალი - დევი. როცა ძალი ქალის კოლეგებს ან სტუმრებს კბნდა, აღმფრთხილები ადამიანები ქალს ძალის გაგდება ურჩევდნენ, მაგრამ მილიონერი პასუხობდა: „მე რომ მხედავს, კუდს აქიცინებს არა ჩემი მილიონების გამო, არამედ პატრონისადმი სიყვარულის გამო“.

საოცარი ფინანსური აღლოს მქონე „მანანალა მილიონერი“ ხშირად ცდილობდა თავის დაზღვევას და თავგზას უბნევდა საგადასახადო ინსპექციას, ის ხშირად სახლდებოდა სხვადასხვა, ყველაზე იავ ნაქირავებ ოთახებში, საკუთარი სახლი კი, სიძუნწის გამო არასდროს ჰქონია. არ ჰქონდა ოფისიც. 1913 წელს ამერიკის კონსტიტუციაში ცვლილება შევიდა და ყველა ვალდებული იყო, გადასახადი გადაეხადა, ამან საკამოდ იმოქმედა ბიზნესმენზე და მისი ჯანმრთელობა შეარყია.

პენრიეტა გარდაიცვალა 1916 წელს აპოპლექსური შეტევით, რომელიც მისი ფხისგან მოხდა. მისი შვილი, რომელიც დედის სიძუნწის გამო მთელი ცხოვრება ინვალიდად დარჩა, მამინევი დაეპატრონა მის წილ ქონებას და მალევე გაანია. აი, ასე უღიმინდამოდ დასრულდა მილიონერი ქალის სიძუნწით სავსე ცხოვრება.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამომხარო უცხადებს თავის თანამშრომელს, ცნობილ ჟურნალისტს გია გაბრიჭიძეს დედის ნაწი ბრელიკა-გაბრიჭიძის გარდაცვალების გამო. ანზორ მაისურაძე, გიგა მაისურაძე, ანზორ მონონელიძე, დიდო მონონელიძე, ფარნა მონონელიძე, დათო მონონელიძე, ავთანდილ მონონელიძე, ზურაბ მონონელიძე, გია მონონელიძე, გიორგი მონონელიძე, თენგიზ მონონელიძე, გურამ გვენცაძე, ირაკლი ქვარიაძე, თემურ ცხვედიანი, მზია ვანაძე, ავთანდილ ვანაძე, ანდრო სიზანიშვილი ოჯახებით იუნებთან გონდო მოწონელიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 X, გამოსვენება 17 X, სოფელი ზემო ლვარდია. ამბროლაურის რაიონი.

სსრკ

სანათს დახურვა

2015 წლის 26 სექტემბერს დუშეთის რაიონის სოფელ სოხარაში გაიხსნა მამულინათვის თავგანწირული შვიდი შვილის აღზრდელი დედის სანათს კვლევა!

სოხარაში თავი მოიყარეს ფშავის მოსახლეობის წარმომადგენლებმა, დედაქალაქიდან, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულმა ადამიანებმა, მათ შორის მწერლებმა, ჟურნალისტებმა, მეცნიერ-მუსიკებმა, სტუდენტებმა, მოსწავლეებმა... ძეგლთან გაჩნდა ყვავილები...

შეხვედრის წამყვანმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ტრისტან მახაურმა საზეიმოდ გახსნა შეხვედრა და სიტყვა მისცა სანათს ობელისკის აშენების ინიციატორსა და ორგანიზატორს, ფშავის ალორძინება-განვითარების არასამთავრობო კავშირის თავმჯდომარეს, მილიციის პოლკოვნიკ როსტომ მანხოშვილს. სიტყვით გამოვიდნენ: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიზო ჩოხელი, პროფესორი დავით ნონკოლაური, მწერალი ჯემალ მებრიშვილი, პოეტი შოთა ტოგონიძე, ჟურნალისტები: ამ სტრიქონების ავტორი, ბაბუა ალუდაური, დოქტორი ეთერ მათურელი, ლიტერატორი ნოდარ მისრიაშვილი და სხვები.

მხატვრულად კითხულობდნენ ლექსებს, სრულდებოდა ცეკვები და სიმღერები. ამ მხრივ შეხვედრაში აქტიურად მონაწილეობდნენ სოფელ მალაროსკარის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ცალკეული სტუმრები. მადლობა მათ! სანათს ობელისკის საზეიმო გახსნის მონაწილეებმა, სტუმრებმა და მასპინძლებმა შემდეგ გადაინაცვლეს არაგვის პირზე – ლაშარის ჯვრის სალოცავის ახლო ტალაში, სადაც დიდხანს გრძელ-

დებოდა ჩვენი სამშობლოს, ჩვენი მამულის წინსვლისა და გამარჯვების სადღეგრძელოები, ცეკვა-თამაში, ლხინი! შეხვედრის მონაწილეები სიხარულს ვერ ფარავდნენ იმის გამო, რომ გვიან, მაგრამ მაინც ღირსეული პატივი მიეცა შვიდი გმირი ვაჟკაცის აღმზრდელ დედას.

P. S. 1. აქ არ შეიძლება მადლობა არ ვუთხრათ ადამიანს, რომელიც სოფელ შუაფხოში შეგვხვდა, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაცია „აიეტის“ წარმომადგენელს მიაა გაჩეჩილაძეს, მან სხვადასხვა ფონდების დახმარებით უკანა ფშავში მოაწყო სამთო მექანიზაციის ცენტრი და აქაურებს უფასოდ გადასცა მოტობლოკები, რითაც მათ შეუძლიათ როგორც მიწის მოხვნა, ისე ბალახის გათიბვა. ამ დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას გამოთქვამს ნოდარ ტოხოსაშვილი, რომელიც სოფელ ვაკისოფელში ცხოვრობს.

2. ობელისკის საზეიმო გახსნის მონაწილე გიზო ჩოხელმა, რომელიც გამოცემულია გამოცემულია მიერ დაყენებულ წინადადებას, თქვა, რომ აუცილებლად იზრუნებს და ხელს შეუწყობს დუშეთის რაიონის სოფელ ახალში სამანქანო გზის გაყვანას და იქ პოეტ მისა ხელაშვილის სახლ-მუზეუმის აშენებასა და გახსნას.

სპონსორი არჩევაში,
პროფესორი, ე. თაყაიშვილისა და ნ. ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატი, ბაბუა ალუდაურის ფოტო



ნორვეგიის სახელმწიფო ფონდი



უნიკალური მოვლენა

ნორვეგიის გლობალური საპენსიო ფონდი (თავად ნორვეგიელები მას ნავთობის ფონდს უწოდებენ) თანამედროვე ეკონომიკის უნიკალური მოვლენაა. ფონდი დაახლოებით 25 წლის წინათ შეიქმნა და მისი მიზანია, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტის დამატებითი შემოსავალი არამხოლოდ ქვეყნის ამჟამინდელ მაცხოვრებლებს, არამედ მომავალ თაობებსაც დარჩეს. XXI საუკუნის დასაწყისში მაღალი ფასების გამო ფონდი სწრაფად გაფართოვდა და დღესდღეობით მას მსოფლიო აქციათა 1,3% ეკუთვნის. ამას გარდა, ფონდი აქტიურად იძენს ობლიგაციებსა და უძრავ ქონებას. მართლაც რომ ვთქვათ, ნავთობისა და ბუნებრივი აირის ექსპორტით მიღებული თანხა ნორვეგიელებს ეხმარება, გამოიმუშაონ ფული სხვადასხვა სფეროში, რომლებიც ნავთობთან არაფართო კავშირში არ არის. მაგალითად, როდესაც Apple წარმატებით უშვებს ახალ აიფონს, ნორვეგიელები და მათი შთამომავალი, კიდევ უფრო მდიდრდებიან. ცნობისთვის, ფონდი აქტიურად ასორციელებს ინვესტიციებს კომპანია Apple-ში.

ფონდში ბიუჯეტის დასაფინანსებლად, მათ წელიწადში მხოლოდ 4%-ის ალბათ შეუძლიათ და ამ უფლებითაც ბოლომდე არ სარგებლობენ. საერთო ჯამში კი, მიუხედავად ნავთობზე დაბალი ფასისა, ფონდის რესურსები მუდმივად იცვება.

ასობაზე შევედითმა გამოაცხადა, რომ გადადის 6-საათიანი სამუშაო დღის რეჟიმზე. ჩათვალეს, რომ თუ თანამშრომელს მეტი თავისუფალი დრო ექნება, უფრო ბედნიერად იგრძნობს თავს და სამუშაოც მეტად პროდუქტიული გახდება. შევედითმა ამ გზით ნორვეგიული მაგალითი გაითვალისწინა, სადაც მუშაობა 10-ზე იწყება და 4-ზე სრულდება. ამასთან, ნორვეგიაში საშუალო ხელფასი 5-7 ათას ევროს შეადგენს, სახელმწიფო კი ყველანაირად უწყობს ხელს მოსახლეობის დასაქმებას – არსებობს დოტაციები კერძო ბიზნესის მრავალ სფეროში. მაგალითად, შეგიძლია იყიდო 30 ცხვარი, მიაკრა ყურზე სანომრე ნიშანი, გაუშვა საბალახოდ მთელი წლის განმავლობაში რომელიმე პატარა კუნძულზე. სახელმწიფოს გან კი მიიღებ დოტაციებს, ტექნიკას, შეღავათებს. წლის ბოლოს კი დაიჭერ შენს ცხვრებს და გაყიდი.

P. S. ნორვეგიაში ნებისმიერი მკვლელა და ძარცვა მინიმუმ ერთი კვირის განმავლობაში განიხილება ნაციონალურ ტელევიზიასა და რადიოში. ნებისმიერ ნორვეგიელს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მოკლე ვადაში ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან აუდიენციას მიაღწიოს, ამისათვის არ არის აუცილებელი, იყო ოლიგარქი ან პარტისა წევრი. ამასთან, ნორვეგიის პრინციპსა სამსახურში ველოსიპედით გადაადგილდება და ამ დროს გზები არ იკეტება.

დუდანა ზაძარანია

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 16 ოქტომბერს

კადრი



ცინცხალი ანკდოტაჰი

— ძვირფასო, წადი რა მალაზიაში, — ეუბნება ცოლი ქმარს.
— მაგრამ, ჩემო საყვარელო, გარეთ ისე წვიმს, ქუჩაში ძალიან არ გაიშვება.
— ღმერთო ჩემო, შენც უძალდოდ წადი...

ბრძენი ვინულით აზიანებს თირკმლებს, რომი ვინულით — ღვიძლს, ჯინი ვინულით — გულს, ვისკი ვინულით — ტვინს. ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა ეს ვინული.
პრემიის...



ჭკვიანი სათვალეები, ჭკვიანი საათი, ჭკვიანი სპორტული ფეხსაცმლები, ჭკვიანი მიკროტალღოვანი ღუმელი... მხოლოდ ადამიანები დაიწყენ გონებას აღწერენ.

კომუნისტების მიტინგზე ორატორი თავისას მიერეკება:
— კომუნისტების დროს იაფიანი ძხვები გვექონდა. მოვიდნენ დემოკრატები, დაიკარგა იაფიანი ძხვები. მაგრამ როგორც კი დაბრუნდებიან კომუნისტები, ისევ გვექნება იაფიანი ძხვები.
ერთი კარგად შეზარსოებული მომიტინგე თავის გვერდით მდგომს ეკითხება:
— რაღაც ვერ გაგიგე. ამ კომუნისტებს ეს ძხვები იქით-აქეთ დააქვთ?

საქართველოს რესპუბლიკის მარაბლის ძ. №7. ნომერი 66434. გამომცემელი: შპს „სანაბლომ-1“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“ გრ. რობაქიძის №7. uac(უაქ)070.4(479.22) 5-323 ISSN 2233-3851. მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 293-37-87; 599 56-81-86. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგუშია 599 36-00-35. პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაშაქიძე.